

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი
J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების
დეპარტამენტი

სსიპ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ნინო მინდაძე

მეომრის აღზრდის ტრადიციები და
სამხედრო მედიცინა ძველ
საქართველოში

მეომრის ბიბლიოთეკა №8

თბილისი
2008

თქვენს წინაშეა ახალი სერიის „მეომრის ბიბლიოთეკის“ მერვე წიგნი; სერია ითვალისწინებს წიგნების მთელ წყებას, რომლებშიც პოპულარულად იქნება გადმოცემული საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენები.

სერიის მიზანია ქართველი მეომრის და იმედია, არა მარტო მისი, პატრიოტული აღზრდა და ცოდნის მიწოდება მისაღებ ფორმებში. სერიაში გათვალისწინებულია პოპულარული, მაგრამ მაღალ პროფესიონალურ დონეზე დაწერილი სახელმძღვანელოები; ეს პატარა, მაგრამ ტევადი და კარგად გაფორმებული ბროშურები მიეძღვნება ქართველთა უდიდეს მეფე დავითს, თამარს, გიორგი ბრწყინვალეს, ბაგრატ III-ს, საქართველოში წარმოებულ მთავარ და გადამწყვეტ ბრძოლებს, XIX–XX სს-ის გამოჩენილ ქართველ ოფიცრებს, საქართველოსა და მსოფლიო სამხედრო ისტორიის ცალკეულ საკითხებსა და ა.შ.

სერიის გამოცემის ინიციატორები არიან ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

დიდი სურვილი და იმედი გვაქვს, რომ მეომართა და ოფიცერთა გარდა, საქართველოს ყოველი მოქალაქე სიამოვნებით მიიღებს ამ სერიის ყოველ ახალ წიგნს.

სერიის გარეკანზე მოთავსებული წარწერა და დიდი დავითი ყველას შეახსენებს, რომ ბრძოლა საქართველოსთვის დღესაც გრძელდება.

ვაჟა კიკნაძე

სერიის სარედაქციო კოლეგია:

ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ვაჟა კიკნაძე

ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

თამაზ ბერაძე

მეცნიერებათა დოქტორი,
ვიცე პოლკოვნიკი

თემურ დალაქიშვილი

რეცენზენტი: ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი **ნინო აბაკელია**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ნინო გიგანი**
ყდის დიზაინი: **გიორგი კიკნაძე**

რედაქტორი: **ნარგიზ ხარაბაძე**

ტექნიკური რედაქტორი: **მარი ჭონიშვილი**

დამტკიცებული და სამოქმედოდ შემოღებულია საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო ღებარტამენტის უფროსის – პოლკოვნიკ ნოდარ ქვილითაიას მიერ

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის
ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. 2008 წ.

ქ. თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ. №20

ტელ.: +995 32 91-19-83

ფაქსი: +995 32 91-19-83

საზოგადოება მოწესრიგებული სოციალური სტრუქტურაა, რომელსაც უძველესი დროიდან გააჩნია ჯანმრთელობის დაცვის, სამართლებრივი და აღზრდის სისტემა.

აღზრდა გულისხმობს მომავალი თაობის მომზადებას საზოგადოების ჩვეული ცხოვრებისათვის, „სოციალური არსების შექმნას.“ აღზრდის სისტემა თავდაპირველად ტრადიციული ინსტიტუტების სახით ჩამოყალიბდა. ტრადიციულ საზოგადოებაში, როგორც ცნობილია, არ იყო სპეციალური სასწავლო დაწესებულებები. მომავალი თაობის აღზრდას ოჯახი და თვით საზოგადოება ახორციელებდა. იგი ძირითადად ხალხურ გამოცდილებას ემყრებოდა. სასწავლო დაწესებულებანი გაცილებით გვიან შეიქმნა, თუმცა ამ დაწესებულებების შექმნის შემდეგაც აღზრდის ხალხური ტრადიციები არ გამქრალა და იგი ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, დღემდე გარკვეული სახით განაგრძობს არსებობას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ თავისი ფუნქცია ჯერ არ დაუკარგავთ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ტრადიციული და ოფიციალური აღზრდის სისტემები ურთიერთგავლენას განიცდის.

ყოველი საზოგადოება ცდილობს შექმნას აღზრდის, იურიდიული ნორმების, ჯანმრთელობის დაცვის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ საზოგადოებისთვის საჭირო პიროვნების ჩამოყალიბებას, მეორე მხრივ კი, საზოგადოების წევრების უსაფრთხოების, მათი ჯანმრთელობისა და პიროვნული უფლებების დაცვას. აქედან გამომდინარე აღზრდის სისტემაც ყოველთვის ემორჩილებოდა და ახლაც ემორჩილება საზოგადოების მოთხოვნილებებს.

სხვადასხვა გეოგრაფიულ გარემოსა და ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა სახის საზოგადოება ყალიბდება, ე. ი. საზოგადოება ცვალებადია დროსა და სივრცეში. ასევეა აღზრდის სისტემაც. იგი განსხვავებულია სხვადასხვა სახის საზოგადოებაში და ცვალებადია დროში. სხვადასხვაგვარი აღზრდის სისტემა იყო ძველ აღმოსავლეთსა და ანტიკურ ეპოქაში, შუა საუკუნეებსა და ე.წ. ახალ პერიოდში, კაპიტალიზმის განვითარების ხანაში, სხვანაირია აღზრდის სისტემა დღეს. განსხვავებულია იგი სხვადასხვა სოციალურ ფენაში. ნიშანდობლივია, რომ ერთ ისტორიულ პერიოდში ერთი და იგივე ქვეყნის – საბერძნეთის ორ ქალაქში, უფრო სწორედ ქალაქ-სახელმწიფოში ათენსა და სპარტაში აღზრდის განსხვავებული სისტემა მოქმედებდა. ერთი, თუ ადამიანის ინტელექტუალურ აღზრდაზე იყო აქცენტირებული (ათენი), მეორეში, ადამიანის ფიზიკურ აღზრდას ენიჭებოდა უპირატესობა (სპარტა).

ბუნების ნაირსახეობამ, რელიეფმა, რომელიც მოიცავს მაღალმთიანეთს, ზეგანს, დაბლობსა და ზღვისპირეთსაც, მდებარეობამ ევროპისა და აზიის გასაყარზე, ისტორიული განვითარების გზამ განაპირობა საქართველოში განსხვავებულ გეოგრაფიულ ზონალობაში მცხოვრებ საზოგადოებაში, სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში და სხვადასხვა სოციალურ ფენაში აღზრდის თავისებური ტრადიციების, ჩამოყალიბება, რომლებიც აღზრდის საერთო ქართულ ტრადიციულ სისტემაში ერთიანდებიან.

საქართველოში ყველგან, ყოველ დროსა და საზოგადოების ყველა ფენაში ცდილობდნენ აღეზარდათ ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი, გონებრივად

განვითარებული, ზნეობრივად სრულყოფილი, ოჯახისა და სამშობლოს მოყვარული მომავალი თაობა. ეს იყო მთავარი პრინციპი, რომელიც აერთიანებდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის, სხვადასხვა ისტორიული ეპოქისა და სხვადასხვა სოციალური ფენის აღზრდის ტრადიციებს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ყოველთვის, ვიდრე უახლეს პერიოდამდე, (უკანასკნელმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ დღესაც) მამაკაცის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას ოჯახისა და ქვეყნის შინაური და გარეშე მტრისგან დაცვა წარმოადგენდა. მუდმივად მებრძოლ საქართველოს ყოველთვის უნდა ჰყოლოდა ქვეყნის დამცველი მეომრები. საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის უნდა შეძლებოდა „ქედზე კაცის გამოყვანა“. სწორედ ამიტომ, საქართველოში ვაჟიანობა ფასობდა, განსაკუთრებით კი მთაში, სადაც ვაჟის გარეშე ოჯახს თავის გატანა ძალიან უჭირდა. ამიტომ მთაში ვაჟის დაბადება დიდ ბედნიერებად ითვლებოდა და საქართველოს მთიანეთის ზოგიერთ რეგიონშიც შვილს მხოლოდ ვაჟს უწოდებდნენ. ასე არ იყო საქართველოს ყველა კუთხეში, მაგრამ მთელ საქართველოში მამაკაცს განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ და ეს პატივისცემა დამსახურებული იყო, რადგან მას საკუთარი სისხლის ფასად უხდებოდა მამულის დაცვა. მამულის დაცვისათვის კი იგი ყოველთვის მზად უნდა ყოფილიყო. სწორედ ამიტომ ქართველთა აღზრდის სისტემაში მთავარი ადგილი მამაკაცის მეომრად მომზადებას ეჭირა. მამაკაცის მეომრად ჩამოყალიბება გარკვეულ ასაკში ხდებოდა. ამ ასაკს, ისევე როგორც ადამიანის სიცოცხლის ყველა სხვა ასაკობრივ პერიოდს, გარკვეული სახის ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური თავისებურებანი ახასიათებს. ეს თავისებურებანი მეტ-ნაკლებად გათვალისწინებული იყო აღზრდის სისტემაში.

შუა საუკუნეების საქართველოსა და საქართველოს რამდენიმე ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონის მაგალითზე განვიხილავთ ქართველი მამაკაცის, მეომრის აღზრდის ტრადიციებს, შევეცდებით მათი თავისებურება-განსხვავებების მიზეზების ახსნას. ამასთან ერთად, კვლავ უნდა აღვნიშნო, რომ ყოველი საზოგადოება ცდილობს აღზარდოს ისეთი თაობა, როგორც მას ესაჭიროება, საზოგადოების მომავალი წევრები, პიროვნებები, რომლებიც დააკმაყოფილებენ მის მოთხოვნილებებს. რა მოთხოვნილებებს უყენებდა ქართველი ხალხი მამაკაცს? როგორი იყო იდეალური მამაკაცის ხატი საქართველოში. დავიწყებ შუა საუკუნეებიდან.

შუა საუკუნეებს, როგორც ყველა ისტორიულ ეპოქას, გარკვეული თავისებურებები ახასიათებს. მიიჩნევენ, რომ ამ ეპოქაში ადამიანთა საზოგადოება სამ კატეგორიად იყოფოდა – „ვინც ღოცულობდა, ვინც იბრძოდა და ვინც შრომობდა“. შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპული საზოგადოების ფორმულა ასეთი იყო: „ხალხმა უნდა იშრომოს, რაინდებმა – იომონ, სამღვდელთა – ილოცოს“.

ასე იყო შუა საუკუნეების საქართველოშიც. სამხედრო საქმეს ამ ეპოქაში ყველა ქართველი მამაკაცი ეუფლებოდა, რადგან, როგორც ცნობილი ქართველი ისტორიკოსი სიმონ ჯანაშია აღნიშნავს „იმ დროს საქართველო ერთ მთლიან სამხედრო ბანაკს წარმოადგენდა“, მაგრამ იყო გარკვეული სხვაობა. სამხედრო საქმის მაღალ პროფესიულ დონეზე ფლობა აუცილებელი იყო ფეოდალური არისტოკრატიისათვის და ამიტომ დიდგვაროვანი ოჯახის შვილებს სამხედრო სამსახურისთვის სათანადო მომზადება, განსაკუთრებული წვრთნა სჭირდებოდათ.

დაბალ სოციალურ ფენებში კი საბრძოლო ხელოვნების სწავლება ხალხური, ტრადიციული მეთოდებით ხდებოდა, იმ შემთხვევაში, თუ ამ ფენიდან გამოსული, მსახურთა ლაშქარს არ შეადგენდა. მსახური-მოლაშქრე საგანგებოდ აღზრდილი და გაწვრთნილი პროფესიონალი მეომარი, რჩევითა და საქმით ემსახურებოდა პატრონს და მის გვერდით იბრძოდა სამშობლოს დასაცავად. ასეთი იყო ავთანდილის ერთგული შერმადინი. მსახურთა ასეთ ფენას ეკუთვნის დავით გურამიშვილის სიტყვები:

„მოლაშქრე უნდა ჭაბუკი, თამამი, თავ-მდაბლოვანი, მეპატრონეთა ერთგული, მორჩილი, სამართლოვანი, მხნე, ამხანაგთა მოყვარე, მამაცი, ძალგულოვანი, გულ-სულად მებრძოლთ მებრძოლი, არ სუსტი, მაგარ-მკლოვანი“.

ასეთი ვითარება დამახასიათებელი იყო არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ შუა საუკუნეების როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური ცივილიზაციებისთვის. ამ ეპოქაში ბრძოლა, სამშობლოს დაცვა მაღალი სოციალური წრის მამაკაცთა საპატიო მოვალეობას შეადგენდა. შრომა, სამეურნეო საქმიანობა კი მხოლოდ დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელთა ვალდებულება იყო. მასში ძირითადად გლეხობა იყო ჩაბმული (გამოთქმულია აზრი, რომ ჩვენში ასე იყო მონღოლობამდე და მონღოლობის შემდეგ XV-XVII საუკუნეებშიც). ზემოთქმული, პოეტური ფორმით, ასახულია შოთა რუსთაველის ცნობილ გამონათქვამში: „მუშა მიწყვი მუშაობდეს, მეომარი გულოვნებდეს“. გლეხს თავისი შრომით უნდა ერჩინა როგორც საკუთარი, ისე თავისი ბატონის ოჯახი, ხოლო არისტოკრატია ვალდებული იყო იგი მტრის შემოსევების დროს დაეცვა. მეურნე-გლეხი ბრძოლის ველზე გაჰყავდათ მხოლოდ უკიდურესი გაჭირვების შემთხვევაში, მაგრამ, მაშინაც კი, სახელმწიფო მის სიცოცხლეს უფრთხილდებოდა. „დიდგორის ომში, რომელშიაც საქართველოს ბედი წყდებოდა, დავითმა ლაშქართან ერთად გლეხობაც („ქუდზე კაცი“) გამოიყვანა და დიდგორის მიდამოებში რეზერვად დააყენა.“ აქედან ჩანს, რომ იმ ეპოქაში აფასებდნენ გლეხის საქმიანობას. კარგად იცოდნენ, რომ გლეხი იყო ძირითადი მწარმოებელი, მეურნე და თუ სამეურნეო სისტემა მოიშლებოდა, ქვეყანაც განადგურდებოდა.

არჩილი მეფე და პოეტი, რომელიც XVII საუკუნის მეორე ნახევარსა და XVIII საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა და რომელმაც შექმნა შესანიშნავი დიდაქტიკური ტრაქტატი „საქართველოს ზნეობანი“ სწორედ ასე აფასებს გლეხის, მეურნის საქმიანობას:

„მუშაობაც კარგი ზნეა, ზედმდგომობა და სარქრობა,*
ბარვა, წიღნვა*, ხენა და თესვა, მკის და სთვლისა მის-მის დრობა,
კაცს შემატს და გაახარებს მოსავლის ბევრის მოსწრობა.
ვის მუშა ჰყავსთ, თვითონ შვრება ურევია არზაქრობა.*“

ამგვარად, დაცული იყო გარკვეული წონასწორობა – დიდგვაროვანი იბრძოდა და ქვეყანას მტრისგან იცავდა, გლეხი შრომობდა და სამეურნეო საქმიანობას ეწეოდა, სასულიერო პირები კი ლოცულობდნენ და მათ სულიერ გადარჩენაზე ზრუნავდნენ. აქ მათ უშუალო მოვალეობებზეა ლაპარაკი, თორემ, რა თქმა უნდა, ყოველი ქართველი მეომარი ლოცულობდა, ყოველი ქართველი გლეხიც საბრძოლო ხელოვნებას საკმაოდ კარგად ფლობდა, მაგრამ ამ ცოდნას, როგორც ვთქვით, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში იყენებდა. როცა საჭირო იყო სამხედრო

ოპერაციებში სასულიერო პირებიც იღებდნენ მონაწილეობას, რის საილუსტრაციოდ თორნიკე ერისთავის ნათელი მაგალითიც იკმარებდა. თორნიკე, „წყობათა“ შინა აღზრდილ იყო და საღაშქროთა საქმეთა“, ე. ი. სამხედრო საქმეს ნაზიარები და ბრძოლაში გამოცდილი იყო. სამხედრო ხელოვნებაში ნაცადი ყოფილა ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე იოანე მთაწმინდელი, რომლის შესახებ გიორგი მთაწმინდელი წერს: „ესე ნეტარი მამაი ჩვენი იოვანე იყო ნათესავით ქართველი, მშობელთა და პაპათათგან დიდებული და წარჩინებული და საჩინო მთავართა შორის დავით კურაპალატიისათა, მხნე და ახოვანი და განთქმული წყობათა შინა“... ე. ი. იგი ყოფილა „გამორჩენილი და სახელოვანი მეომარი, ბრძოლაშებმის ოსტატი“ ზემომოყვანილიდან აშკარაა, რომ საქართველოში ყველა მამაკაცი საბრძოლველად მუდამ მზად იყო.

შეკვრდებით საზოგადოების იმ ნაწილზე, რომლის პირდაპირ მოვალეობას სამშობლოს დაცვა წარმოადგენდა, რომლებიც პროფესიულ სამხედრო განათლებას იღებდნენ და ქართულ ლაშქარში იყვნენ გაერთიანებულნი. როგორც ვთქვით, ეს იყო ქართული არისტოკრატია, რომელსაც საკუთარი სისხლის ფასად უნდა დაეცვა სამშობლო. ამ გარემოების გათვალისწინებით, მისთვის გლეხის მიერ გაწეული შრომა სავსებით გამართლებული იყო.

როგორი იყო შუა საუკუნეების ქართული ჯარი? რომელსაც ამ დროს „ლაშქარი“, „სპა“ ეწოდებოდა.

ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, „იმდროინდელ ქართულში (იგულისხმება კონკრეტულად თამარის ეპოქა, ნ. მ.) სიტყვები „ლაშქარნი“ და „სპანი“ საგანგებო მნიშვნელობითაც იხმარებოდა და საქართველოს გავლენიანი სამხედრო წრის გამომხატველი ტერმინებიც ყოფილა“. აქვე იგი ხაზს უსვამს, რომ „ორივე ტერმინი წრის აღმნიშვნელია და არა სამხედრო წოდების: განსაკუთრებული სამხედრო წოდება საქართველოში არ ჩანს... „ლაშქართ“, ეკუთვნოდნენ თვით დიდებულნიც. ამ „ლაშქართა დამახასიათებელი და შემაკავშირებელი თვისება... სამხედრო ხელობა და მამაცობა იყო. მაგრამ ისინი უბრალო მეომრები კი არ ყოფილან, არამედ მეომართა რჩეული ნაწილი, ქვეყნის ბედ-იღბალსა და კეთილდღეობაზე მზრუნველი წრე-უნებლიეთ, დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნეების რაინდობა გვაგონდება, რომელიც ამგვარადვე მხედართა რჩეულს და გავლენიან წრეს შეადგენდა და განსაკუთრებული რაინდული წესებითა და ზნე-ჩვეულებებით იყო ცნობილი“ – წერს ივანე ჯავახიშვილი. შემდეგ კი აღნიშნავს: „საყურადღებოა, რომ საქართველოშიაც „ლაშქარ“-ში ყოფნა და სამსახური მარტო მოქალაქეობრივი მოვალეობა კი არ იყო, არამედ საპატიო და საამაყო უფლებად ითვლებოდა ყოველი კეთილშობილი ადამიანისათვის.“ ამგვარად, ქართულ ლაშქარში სამსახური საპატიო მოვალეობა იყო და მასში რჩეული მეომრები იყვნენ გაერთიანებულები.

როგორი უნდა ყოფილიყო რჩეული მეომარი? როგორი მეომრის აღზრდას ისახავდა მიზნად შუა საუკუნეების საქართველოს არისტოკრატია? ამ საკითხზე მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის ქართული ისტორიული და ლიტერატურული ძეგლები. პირველ რიგში კი არჩილის ზემოხსენებული დიდაქტიკური ტრაქტატი – „საქართველოს ზნეობანი“, სადაც წარმოდგენილია ქართველი მამაკაცის იდეალური სახე, დახასიათებულია ყველა ის თვისება „ზნეობა“, რომლითაც მამაკაცი უნდა

ყოფილიყო შემკული. სიმონ ჯანაშიას მიხედვით, სიტყვა „ზნეობა“ „არჩილს ნახმარი აქვს არა ყოველგვარი, არამედ საჭირო თვისებისა, დადებითი ხასიათის ცოდნის აღსანიშნავად... ავტორი ზნეობას ყველა იმ თვისებას უწოდებს, რომლებითაც მისი აზრით, შემკული უნდა იყოს ყოველი პირი, რომ საზოგადოების ღირსეულ წევრად ჩაითვალოს“.

არჩილის მიხედვით „ზნეობა“ რამდენიმეა:

„აწ ეს მომინდა სათქმელად, რამდენი ზნეობა არის სამღვთო და ანუ სამხედრო, მშვებლის* და მოვაგლახარის*, ლაშქრობის, ნადირობისა, რომელმან კაცი ახარის, საქციელ-სამსახურისა ვინც იცის, ცოდნათაც კმარის“.

არჩილი თავის ნაწარმოებში საღვთო და სამხედრო „ზნეობებზე“ ლაპარაკობს. სამხედრო ზნეობას კი, როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს, „უწოდებს ყველა იმ წესს საერო ცხოვრებისას, რომელთა მიხედვით, მისი აზრით, უნდა მოიქცეს გაზრდილი ქართველი, და ყველა იმ თვისებას თუ ცოდნას ერისკაცისას, რომელიც ასეთს ქართველს უნდა ახასიათებდეს, ეს წესები და ეს თვისებები მიუცილებელი სამკაულია ადამიანისათვის, რომ ის მისაღები წევრი იყოს არსებული ფეოდალური საზოგადოებისა...“

საერო, სამხედრო ზნეობას არჩილი რამდენიმე ჯგუფად ჰყოფს: ზნეობა მშვებლის და მოვაგლახარის ლაშქრობის, ნადირობის, საქციელისა (ქცევის, ნ. მ.) და სამსახურის“...

არჩილს ჩამოთვლილი აქვს ყველაფერი ის, რაც ქართველმა დიდგვაროვანმა მამაკაცმა უნდა იცოდეს. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე ამონარიდს არჩილის ნაწარმოებიდან:

„ხრმლის ცემა, ლახტის თამაში, ბევრგვარ ბრუნება შუბისა, საცერის წყობა, მათრახის ბილდრიგა* რა შუბისა, ისარი სხვილი და გრძელი, ხელთ არ დადება უბისა, ვისცა არა აქვს, უძრახვენ, სხვამან სხვას მიიუბნისა“.

არჩილის მიხედვით, მამაკაცი უნდა იყოს კარგად გაწვრთნილი, დაოსტატებული სპორტის სხვადასხვა სახეობაში: მშვილდოსობაში, ცხენოსნობაში...

„დია კარგია სხვებიცა ზნეობა-საქციელები, მშვილდ-ისარი და ბურთობა, ორივე ცხენფიცხელები, რადაბრაგანს* და გადრზედა* მარჯვეთ იხმაროს ხელები, წავლა წამოვლა, ცხენს ჯდომა მწვედ ვარგა ნასახელები“

მნიშვნელოვანია, რომ არჩილი ყურადღებას ამახვილებს ახალგაზრდის ინტელექტუალურ აღზრდაზეც. იგი საკმაოდ დიდ მოთხოვნილებებს უყენებს მამაკაცს. მამაკაცი უნდა ყოფილიყო ფართოდ განათლებული და კარგად უნდა სცოდნოდა ქართული ანბანის ყველა სახეობა:

„მწერლობა ხუცურს და მხედრულს, იცით, უნდა სხვადასხვა და მრგვლოვანს, ყვავისფრჩხილოვანს, ასომთავრულს სძენ თავადა“...

ამას გარდა, მათემატიკა – „ანგარიში და რიცხვთ ცოდნა“ მამაკაცისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. სასურველად თვლიდა არჩილი

„მხატვრობისა და მონახაზობის“, განსაკუთრებით კი, უცხო „ენისა და წიგნის“ ცოდნას:

„ენა და წიგნი რამდენი ვინ იცის, ესეც იმდენად
ჩავაგდოთ თვითო ზნეობად, სხვის ქვეყნის ამბავ მოსმენად,
მაშ ერთად როგორ ვიტყოდეთ, იკითხონ სხვადასხვა ენად“

არჩილის ნაწარმოებში, როგორც მამაკაცისთვის სასურველი თვისებები, მოხსენიებულია აგრეთვე, გარეშე (ე. ი. საერო) წიგნის კითხვაც და „ჭრელ ძლისპირთა* გარდათქმა.“

მაგრამ საერთო განვითარებისათვის არჩილს მხოლოდ გონების გაწვრთნა საკმარისად არ მიაჩნდა: მისი აზრით, საჭირო იყო აგრეთვე ესთეტიკური განათლებაც. რაშიც იგულისხმება: „სიმღერა და დასდებელი“*, მუსიკა, ცეკვა. ამავე დროს მამაკაცი უნდა ყოფილიყო სრულყოფილი პიროვნება, თავშეკავებული, დინჯი, მომთმენი.

„კარგკაცობაა შენახვა ყოვლისა ხოშიადისა*,
ცრუს სიტყვას ყურსა ნუ ასმენ, ნურცა ენასა გასდისა.
ჩხუბი და მეენეობა ვინც, კაცმან დაიქადისა,
სასაცილოდ და საზრახად მან თავი გაინადისა.“

მამაკაცის იდეალური სახე ჩამოყალიბებულია შუა საუკუნეების უფრო ადრეული ლიტერატურის ძეგლებსა თუ ისტორიულ წყაროებში. ამ მონაცემების ანალიზის შედეგად გამოთქმული მოსაზრება, რომ საქართველოში ახალგაზრდა მამაკაცს – ჭაბუკს, ყმას, მოყმეს, გარდა ფიზიკური სიძლიერის, ბრძოლის მაღალი ხელოვნების, ჭირთა და ტანჯვის თმენისა, მოეთხოვებოდა, დახვეწილობა, ზნეობრივი სისპეტაკე, „ეკლესიისა და სარწმუნოების დაცვა ურწმუნოთაგან, ქვრივ-ობოლთა მფარველობა ძალმომრეობისაგან, ბრძოლა ყოველგვარ ბოროტთა ძალთა წინააღმდეგ“, სამშობლოსათვის თავდადება. რუსთაველის სიტყვები: „სჯობს სიცოცხლესა ნადრახსა, სიკვდილი სახელოვანი“, ყოველ ქართველ მეომარს ჰქონდა შესისლხორცებული.

შუა საუკუნეების საქართველოში ახალგაზრდა ვაჟის, ჭაბუკის, ყმის იდეალური სახე, ქართველი ისტორიკოსების აზრით, ევროპელი რაინდისაგან ბევრად არ განსხვავდებოდა. შუა საუკუნეების რაინდული ეპოსისა და რომანის მიხედვით, ამ ეპოქის ქართველი რაინდების საქციელითა და ცხოვრების წესით აშკარა ხდება, რა დონის ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური განათლება ჰქონდათ მათ მიღებული. ამ ეპოქის ქართველი ჭაბუკები გამოირჩეოდნენ დიდი ფიზიკური ძალით, სიმამაცით, იარაღის ოსტატური ხმარებით, საბრძოლო ნიჭითა და უნარით.

როგორ ხდებოდა ასეთი რაინდის, ქართველი მოლაშქრის აღზრდა? უპირველეს ყოვლისა, ალბათ, საინტერესოა, თუ რა ასაკში იწყებოდა სწავლების პროცესი და როდის მთავრდებოდა იგი.

სანამ უშუალოდ აღზრდის სისტემას განვიხილავთ, საჭიროდ მიმაჩნია მკითხველს გავაცნოთ თუ როგორი წარმოდგენა ჰქონდა ქართველ ხალხს ადამიანის ასაკზე. უფრო სწორედ, როგორი იყო ადამიანის ასაკის ტრადიციული პერიოდიზაცია საქართველოში.

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით ადამიანის ასაკი შემდეგ ნაწილებად იყოფოდა: 1-5 წლიმდე (ჩვილი), 5-10 (უსაურა), 10-15 (ნინეველა), 15-20 (ყრმა), 20-30 (ჭაბუკი), 30-50 (სრული კაცი), შემდეგ მოხუცებული, ბერი და მიხრწნილი.

ნიკო ბერძენიშვილი გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების მიხედვით ადამიანის ასაკს შემდეგნაირად ყოფდა: ჩვილი (7 წლამდე), შემდეგ ყრმა, ჭაბუკი, სრული, განმწვისებული, მოხუცი. სწავლების საუკეთესო ასაკად იგი პირველ სამს მიიჩნევდა და წერდა: „ყრმა იზრდება, ჭაბუკი სწავლობს და კაცი განათლება სრულად.

აქ სწავლა-აღზრდის სამი საფეხურია თითქოს წარმოდგენილი: ყრმობის, როცა მთავარი ყურადღება აღზრდას (ბუნებრივს და ხელოვნურს: „კეთილად აღზრდას“) ექცევა, შემდეგ, ჭაბუკობის ჟამს, მთავარი ყურადღება სწავლას ექცევა, რაის შემდეგ და რაის შედეგად, ადამიანი სრულად განათლება.“

ასაკის შესახებ ცნობები დაცულია ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში, რომელთა მიხედვით ადამიანის სიცოცხლე 4 ასაკობრივ ციკლად იყოფა დაბადებიდან 17 წლამდე, 17-დან 35 წლამდე, რომელიც ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, ჭაბუკობის ასაკს ემთხვევა და ადამიანის ცხოვრების ყველაზე აქტიურ ხანად არის მიჩნეული. შემდეგ შუა ხანი, დაწყნარებისა და დადინჯების დრო და სიბერე. ხალხური მონაცემები ბევრად არ განსხვავდება ზემომოყვანილისგან. მათ მიხედვით, ადამიანის სიცოცხლის პერიოდი 6 ნაწილად იყოფა, მოიცავს ბავშვობას – დაბადებიდან 12-13 წლამდე, 12-13 წელი გოგონებისთვის ხოლო 15-16 წელი ვაჟებისთვის მიჩნეულია სქესობრივი მომწიფების ხანად. 11-12 წლიდან ვიდრე 18-19 წლამდე მოზარდობის, ჭაბუკობის ხანაა შემდეგ კი მოდის ახალგაზრდობა, რომელიც 35-40 წლამდე გრძელდება, შემდეგ შუა ხანი, დაახლოებით 60-65 წლამდე, შემდეგ კი სიბერე. ბავშვობა მოიცავს ჩვილობის პერიოდს – დაბადებიდან ფეხის აღმამდე. სწავლების, აღზრდის საუკეთესო ასაკად, საქართველოს მოსახლეობა, ბავშვობის და მოზარდილობის, განსაკუთრებით ბავშვობის ხანას თვლის. რადგან, ხალხური შეხედულებით ბავშვი შედარებით ადვილად ემორჩილება მშობელს, ადვილად ითვისებს. ქვევრივით არის – „რასაც ჩასძახებ იმას ამოგძახებს“.

საქართველოში, ისევე როგორც სხვაგან, პირველ რიგში ყურადღებას აქცევდნენ ადამიანის ჯანმრთელობას, განსაკუთრებით კი ვაჟის, ფიზიკურ გაკაჟებას. უნდა ითქვას, რომ ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა ბავშვის დაბადებამდე იწყებოდა. ეს გამოიხატებოდა ფეხმძიმე ქალის მოვლაში. მისთვის საჭმლის შერჩევაში, ფიზიკური მოძრაობების შეზღუდვაში და სხვა. დაბადებისთანავე იწყებოდა ვაჟის გაკაჟება, წრთობა, რის დასტურადაც ახალშობილისთვის წყლის გადავლების, ე. წ. ხოჭიჭზე „გაზრდის“ წესიც იკმარებდა. ხოჭიჭი დაახლოებით 40-50 სმ. სიგანის, ახალშობილის სხეულის სიგრძის ფიცარია, რომელზედაც თხელ ლეიბს დააგებდნენ, ჩვილს დააწვენდნენ და არტახებით გადააკრავდნენ. ხოჭიჭს ჩვილის აკვანში ჩაწვენამდე იყენებდნენ. იგი, როგორც აკვანი, გამართული წელის საწინდრად იყო მიჩნეული. ხალხური გადმოცემით, ხოჭიჭი ბავშვის წრთობის ერთ-ერთი პირველი საშუალება იყო. ჯანსაღი ბავშვის გაზრდის უმთავრეს პირობად კი დედის რძით კვება ითვლებოდა. ადამიანის ზნეობრივ აღზრდაზეც ადრეული ბავშვობიდან ზრუნავდნენ ქართველები. იავნანასთან ერთად, უნერგავდნენ ქვეყნის სიყვარულს,

ამზადდებდნენ სამშობლოს დაცვისათვის, თავდადებისათვის, რაც კარგად ჩანს მესხეთში ჩაწერილი იავნანას ერთ-ერთი ტექსტიდან:

„გაიზარდე პაწაწინა, შენ, დედისერთაო,
ქვეყანაზე შენ იქნები თავისუფალიო,
არტახები ლამის წყვიტო, იწევ მედგრადაო,
შენი სამშობლოს სართავი შენ უნდა მორთაო.
ეს სიტყვები ყურში გქონდეს, გულში – განძათაო,
გული ბასრად მოიხმარე, მკლავი – აბჯრათაო,
შენ სამშობლოს გულისთვისა გახდი მსხვერპლადაო.“

უწინ საქართველოში სამხედრო ვალდებულების ასაკიც ყოფილა განსაზღვრული და იგი რამდენადმე განსხვავდებოდა დღევანდელისაგან. „სრულწლოვანება ანუ „ჰასაკი სისრულისა“ სხვადასხვაგვარი არსებობდა: სამოქალაქოც იყო, პოლიტიკური და სამხედროც. ეს სამი ცნება ერთმანეთს არ უდრიდა და არ ეთანასწორებოდა. ვინც სამხედრო მოქმედების მონაწილეობისთვის მოწიფული იყო, იმას ეწოდებოდა „ს რ უ ლ დ ღ ე თ ა ბ რ ძ ო ლ ა თ ა თ ვ ი ს“, – წერს ივანე ჯავახიშვილი და იქვე აღნიშნავს, რომ საქართველოში „16 წლის უფლისწულს, განსაკუთრებულ შემთხვევაში მაინც, უკვე ქვეყნის მართვა-გამგეობის ტვირთვა შეეძლო, მაგრამ სამხედრო მოქმედებისთვის ამ დროს ის ჯერ სრულჰასაკოვნად არ ითვლებოდა... საფიქრებელია, რომ 21-22 წლითგან სამხედრო სრულჰასაკოვნობაც იწყებოდა“.

სამხედრო „სრულასაკოვნების“ ზღვარი საქართველოში, როგორც ჩანს, დადგენილი იყო. თუმცა ზოგჯერ, თუ ქვეყანას ძალიან უჭირდა, ომში უწვევრულვაშო ახალგაზრდებიც კი მონაწილეობდნენ, მაგრამ ეს ხდებოდა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. სახელმწიფო ცდილობდა, საბრძოლველად უკვე ზრდასრული 21-22 წლის მამაკაცი წაეყვანა და ქვეყნის გენოფონდი დაეცვა. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ სამხედრო სწავლება 16-17 წლამდე მაინც გრძელდებოდა. ყოველ შემთხვევაში 15 წლის ტარიელის აღზრდა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული:

„თხუთმეტი წლისა ვიყავ, მეფე მზრდიდა ვითა შვილსა;
დღისით ვიყვი მას წინაშე, გამიშვებდის არცა ძილსა;
ძალად ლომსა, თვალად მზესა, ტანად ვჰგვანდი ედემს ზრდილსა;
სროლასა და ასპარეზსა აქებდიან ჩემგან ქმნილსა.“

საგულისხმოა „ქართლის ცხოვრების“ ერთი ცნობაც, რომლის მიხედვით „აღზრდილი“ უკვე ზრდადასრულებულს ნიშნავს – „აღზრდილ არს იგი და ჰასაკისა საზომს მიღწეულ არს,“ გვაუწყებს „ქართლის ცხოვრება“. ეს ფრაზა იესო ქრისტეს შესახებ არის ნათქვამი.

როდის იწყებოდა აღზრდის პროცესი? ისევ „ვეფხისტყაოსნის“ გმირების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი 4-5 წლიდან უნდა დაწყებულიყო: ყოველ შემთხვევაში 5 წლის ტარიელი ნადირთა მოკვლის, ნადირობის ხელოვნებას უკვე კარგად ფლობდა:

„ხუთისა წლისა შევიქმენ მსგავსი ვარდისა შლილისა;
ჭირად არ მიჩნდის ლომისა მოკვლა, მართ ვითა სილისა.“

აქ, რა თქმა უნდა, რამდენადმე გაზვიადებულია პოემის გმირის ფიზიკური შესაძლებლობანი, მაგრამ ეს ასაკი შესაძლებელია აღზრდის დაწყების ხანად მივიჩნიოთ. მით უმეტეს, რომ ამას ქართული ლიტერატურის სხვა ძეგლიც, კერძოდ „ამირანდარეჯანიანი“ ადასტურებს. „ამირანდარეჯანიანი“ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ჭაბუკ-მოყმეთა წრთვანა-აღზრდის შესახებ XI–XII საუკუნეების საქართველოში. ამ რომანში ეთნიკურად უცხო არაბ ჭაბუკებზეა ლაპარაკი, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ აქ აღზრდის ქართული ტრადიციები იგულისხმება. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ თუ გავიხსენებთ, საქართველოს ცხოვრების წესისა თუ ისტორიული სინამდვილის უცხოურად წარმოდგენა შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი იყო. „ამირანდარეჯანიანში“ არაბი მეფისწულის, შემდეგში გამოჩენილი ამბრის თავგადასავალია მოთხრობილი. როდესაც ის 5 წლის გამხდარა, მამამისს მისთვის გამზრდელად ცნობილი რაინდი – „ლომი ჭაბუკი“, შეჯიბრებაში მრავალგზის ნაცადი და სახელმძღვანელო აბუტერი მიუჩენია, კაცი, რომელსაც „ვერავინ დაუდგის წინა მტერი, დღეთა მისთა“.

ამგვარად, მეომართა აღზრდის პროცესი შუა საუკუნეების საქართველოს არისტოკრატიულ წრეებში ლიტერატურული თუ საისტორიო მანაცემების მიხედვით, 5-6 წლიდან იწყებოდა და დაახლოებით 16-17 წლამდე გრძელდებოდა. ამ დროს ხდებოდა ვაჟის ფიზიკური წვრთნა. ამ დროს ეუფლებოდა იგი სპორტის სხვადასხვა სახეობას, სწავლობდა იარაღის ხმარებას. დაახლოებით ამავე ასაკში იწყებოდა ბავშვის ინტელექტუალური აღზრდა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ (1104) 8 წლის ყმაწვილს წიგნის მკითხველად ყოფნის ნება დართო, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბავშვის გონებრივი „წვრთნაც“, 8 წლამდე დაახლოებით 6-7 წლიდან მაინც იწყებოდა, რადგან, უკვე ამ ასაკიდან ბავშვი კარგად ითვისებს ყველაფერს, რასაც მას ასწავლიან. როგორც გიორგი ხუცეს-მონაზონი იტყოდა, – „ბავშვის „ბუნება იგი ღბილი და ჩჩვილი“-ა და „ვითარცა ცვილი საბეჭდავსა, ეგრეთ მიიღებს სწავლულებასა“.

ცნობილია, რომ XVIII საუკუნემდე საქართველოში სპეციალური სამხედრო სასწავლებელი არ არსებობდა. მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ერეკლე მეორემ შექმნა ე. წ. მორიგე ლაშქარი და „მორიგე ლაშქრის რეგულარული წვრთნა შემოიღო, მეფის მიერ დანიშნული მეთაურები („ოფიცრები“) მორიგე მოლაშქრეებს კვირადღეობით ავარჯიშებდნენ.“

ისმება კითხვა, ამ დრომდე ვინ ზრდიდა საქართველოში სახელოვან მეომრებს? როგორი იყო ასეთი მეომრის აღზრდის მეთოდები?

ჭაბუკ-მოყმეთა აღზრდა, საბრძოლო თვისებების გამომუშავება, როგორც ვთქვით, ყმაწვილობიდანვე იწყებოდა. ვაჟს ბავშვობიდანვე მიუჩენდნენ მწვრთნელს, სამხედრო საქმესა და აღზრდაში დახელოვნებულ მასწავლებელს, რომელიც შეასწავლიდა ცხენზე ჯდომას, იარაღის ხმარებასა და სხვა. ამ ფუნქციას ფეოდალთა წრეში გამზრდელი ასრულებდა. ნიკო ბერძენიშვილი, რომელმაც გაზრდილობის ინსტიტუტი „ვეფხისტყაოსნისა“ და თამარის ეპოქის წერილობითი ძეგლების მიხედვით შეისწავლა, წერს: საქართველოში „გამზრდელ-გაზრდილები შეადგენენ უ ა ხ ლ ო ე ს წ რ ე ს დიდი ფეოდალისას (ასევე მეფისას). ეს ის წრეა, რომელსაც უშუალოდ ეყრდნობა დიდი ფეოდალი (ან მეფე), რომელთა ნება-სურვილს ის დიდ

ანგარიშს უწევს, ისე გამოდის თითქო, რომ მთელი კარი დიდი ფეოდალისა (მეფის) გამზრდელებისა და გაზრდილებისგან შედგება... „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, „გაზრდილი“ სხვადასხვა რანგისაა, პატრონთაგან სხვადასხვაგვარად დამოკიდებული: ტარიელი ფარსადანის გაზრდილია, ავთანდილი – როსტევეანის. აქ გამზრდელ-გაზრდილნი ფეოდალური საზოგადოების უმაღლესი ფენის წარმომადგენლები არიან. ამავე დროს „გაზრდილები“ შეიძლება იყვნენ ამ საზოგადოების უდაბლესი ფენებიდანაც... მაგ.: შერმადინი ავთანდილის „მონაა“, მაგრამ მისი გაზრდილია „ვითა ძმა და ვითა შვილი“. ნ. ბერძენიშვილის დასკვნით, შუა საუკუნეების საქართველოში „ფეოდალს – მეფეს, მთავარს, დიდაზნაურს ჰყავთ გაზრდილები ფეოდალთა კარზე მყოფი ახალგაზრდობიდან, სადაც ისინი მართლაც იღებდნენ ყოველგვარ სწავლა-განათლებას. ეს გაზრდილები ამ ფეოდალის სახლის გაზრდილები იყვნენ და ამ სახლის უფროსის (თავადის) ერთგულ-მისანდობელნი, ამ თავადის გაზრდილებად ითვლებოდნენ.“ ამ რანგში ე. წ. გაზრდილებში დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებიც შედიოდნენ. როგორც ვხედავთ, გაზრდილობის ინსტიტუტი ფეოდალთა ერთგული ახალგაზრდების აღზრდას გულისხმობდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა მარტო ბატონთა ერთგული, არამედ უპირველეს ყოვლისა სამშობლოს ერთგულ, ზნეობრივად დახვეწილ, იმდროისათვის ღრმად განათლებული და ფიზიკურად კარგად გაწვრთნილი ჭაბუკების აღზრდას ისახავდა მიზნად, რომელთა უპირველესი და საპატიო მოვალეობა სამშობლოს დაცვა იყო.

შუა საუკუნეების საქართველოში ფართოდ გავრცელებულ, ე. წ. გაზრდილობის ინსტიტუტს მამამძუძეობის ინსტიტუტიც შეიძლება ვუწოდოთ. მამამძუძეობის შესახებ ბევრი საინტერესო გამოკვლევაა დაწერილი და ბევრი აზრია გამოთქმული. ამ საკითხს შეეხო ივანე ჯავახიშვილი. საინტერესო ნაშრომი მამამძუძეობის შესახებ ეკუთვნის ეთნოლოგ ს. ჭანტურიშვილს. მამამძუძეობის საკითხი საქართველოში ძირითადად სოციალურ ჭრილშია შესწავლილი და სავსებით მართებულად იგი სხვადასხვა ტიპის სოციალური უჯრედის (ოჯახი, გვარი, თემი, ხალხი) დაახლოების ერთ-ერთ საშუალებადაა მიჩნეული. ამჯერად, მამამძუძეობა მეომრის აღზრდასთან დაკავშირებით გვანტერესებს. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, მამამძუძე – კაცი გამზრდელია. ილია აბულაძის მიხედვით, მამამძუძეობა სხვა ოჯახში ბავშვის აღსაზრდელად მიბარებას ნიშნავს. მამამძუძეობის ინსტიტუტი ძირითადად საქართველოს არისტოკრატიულ წრეებში ფუნქციონირებდა და როგორც ჩანს, ძირითადად მამაკაცთა სამხედრო აღზრდას ემსახურებოდა, მაგრამ არა ყოველთვის, ქართული ლიტერატურის უძველეს ძეგლში „შუშანიკის წამებაში“ მოხსენიებული მამამძუძე, სამხედრო აღმზრდელი ნამდვილად არ იყო. მაშინ, როდესაც ქართლის ცხოვრების ერთ-ერთი ავტორის ჯუანშერის მიერ მოხსენიებული მამამძუძე სამხედრო აღმზრდელად უნდა მივიჩნიოთ. ვახტანგ გორგასლის ცხოვრების ავტორის, ჯუანშერის მიხედვით, ვახტანგი აღსაზრდელად მამამისს მირდატს სპასპეტისათვის* მიუბარებია – „...მოითხოვა მეფისაგან საზრდოდ საურმაგ სპასპეტმან ვახტანგ. დიდითა ვედრებითა, ხოლო მიანიჭა მეფემან და მისცა ძე მისი ვახტანგ საურმაგს სპასპეტსა საზრდოდ. რამეთუ წესი იყო, რომელ შვილნი მეფეთანი წარჩინებულთა სახლსა შინა აღიზარდნიან“. ამგვარად, ბავშვის აღსაზრდელად სხვისთვის მიბარება მაშინ წესი ყოფილა. აღმზრდელს კი მამამძუძე ჰრქმევია – წყაროში კვითხულობთ

– „მოკუდა საურმაგ სპასპეტი, მამამძუძე ვახტანგისი“. ვახტანგის მამამძუძე სპასპეტი, ჯარის უფროსი ყოფილა, რომელიც უნდა ვიგულისხმოდ, რომ ვახტანგს სამხედრო ხელოვნებას ასწავლიდა. ვახტანგ გორგასალს სხვა აღმზრდელიც ჰყოლია – „მაშინ ვახტანგ იზრდებოდა და ისწავლიდა მიქაელ ეპისკოპოსისაგან ყოველსა მცნებასა უფლისასა, და სიყრმისავე დღეთა შეიყუარა სჯული ქრისტესი უფროს ყოველთა მეფეთა ქართლისათა“. ამგვარად, ვახტანგ გორგასალს ჯუანშერის მიხედვით, ორი აღმზრდელი ჰყოლია: ერთი მას სამხედრო ხელოვნებას ასწავლიდა, მეორე კი, მის სასულიერო განათლებაზე ზრუნავდა. ასეთი ტრადიცია დამკვიდრებული იყო შუა საუკუნეების საქართველოში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით, დავითის აღმზრდელი, მისი სულიერი მოძღვარი გიორგი მონაზონი იყო, მაგრამ როგორც ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავს – „გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს, რომ გიორგი მონაზონი მეფის საჭაბუკო საქმეებში აღმზრდელი იქნებოდა... უეჭველია, მეფეს სხვა აღმზრდელებიც ჰყავდა,“ რომლებიც მას სამხედრო ხელოვნებას ასწავლიდნენ. ხოლო მწიგნობრობასა და პოლიტიკურ სფეროებში მეფეს გიორგი მონაზონ-მწიგნობართუხუცესი ათვისებობიერებდა. აქედან ისიც აშკარაა, რომ ქართული სამეფო ოჯახის წარმომადგენელი და არა მარტო ის, არამედ, როგორც ჩანს, ყველა ქართველი მოლაშქრე განვითარებული უნდა ყოფილიყო როგორც ფიზიკურად, ისე გონებრივად, ამაზე არჩილ მეფის, ჩვენ მიერ უკვე განხილული, „საქართველოს ზნეობანიც“ მიგვითითებს.

მამამძუძეობის ინსტიტუტი გავრცელებული იყო ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში, კელტებში, ბიზანტიაში, ირანში და სხვ. განსაკუთრებით ფართოდ კი თურქულენოვან ხალხებში. იგი ცნობილია „ათალიკობის“ სახელით (თურქ. ათალიკ – აღმზრდელი, მამა). ამ წესის მიხედვით, მშობლები თავიანთ შვილებს ვაჟებს, აღსაზრდელად სხვა, უმეტესწილად თავისი ქვეშევრდომების ოჯახში აძლევდნენ. ეს წესი გავრცელებული იყო მაღალ სოციალურ ფენებში. ათალიკს ანუ მამობილს, მამამძუძეს ბავშვი მომავალი ცხოვრებისათვის უნდა მოემზადებინა. აუცილებელი იყო მისთვის საბრძოლო ხელოვნება ესწავლებინა: ცხენზე ჯდომა, იარაღის ხმარება და ა. შ. აქაც, ისევე როგორც, საქართველოში, ახალგაზრდა მამამძუძესთან 5-6, ზოგან 6-7 წლიდან თითქმის სრულწლოვანობამდე რჩებოდა. სასანიათა ირანში მიღებული ყოფილა აღზრდის მსგავსი წესი – მეფე ან რომელიმე არისტოკრატი ვაჟს აღსაზრდელად აძლევდა სხვა პირს, რომელიც სოციალური მდგომარეობით მასზე უფრო დაბლა იდგა. აღმზრდელს და აღსაზრდელს შორის მყარდებოდა მჭიდრო ურთიერთკავშირი, სისხლით ნათესაობაზე უფრო ძლიერი. აღმზრდელი ყოველგვარ სიტუაციაში იცავდა აღზრდილს განსაცდელისა და ხიფათისაგან, თავის მხრივ, როცა აღზრდილი მიაღწევდა მაღალ თანამდებობას, გვერდიდან არ იშორებდა... ასევე ხდებოდა საქართველოში, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ აქ აღსაზრდელად არა მხოლოდ ქვეშევრდომებს, არამედ თავისზე მაღალი წოდების წარმომადგენლებსაც აბარებდნენ. მაგ.: ავთანდილი როსტევეანის აღზრდილი იყო.

ცნობილია, რომ ბიზანტიაში წარჩინებულთა ოჯახის შვილებს თავიდანვე „დედამძუძეს“ მიაბარებდნენ, ხოლო 6-7 წლის ასაკიდან ბიჭები „მამამძუძეთა“ ხელში გადაჰყავდათ. მამამძუძეს მოვალეობა აღსაზრდელის სამხედრო მომზადება იყო. ასეთი აღზრდის შედეგად ყალიბდებოდა პროფესიონალი მეომარი, მოლაშქრე...

რას და როგორ ასწავლიდნენ დიდგვაროვან ახალგაზრდებს მათი გამზრდელები? უპირველეს ყოვლისა, მათ ისინი ფიზიკურად უნდა განევიტარებინათ და ამიტომ ავარჯიშებდნენ სპორტის სხვადასხვა სახეობაში: ცხენოსნობაში, მშვილდოსნობაში, ცურვაში, ჭიდაობაში... „ვეფხისტყაოსნისა“ და „ამირანდარეჯანიანის“ მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აღმზრდელს თავისი აღსაზრდელისთვის უნდა ესწავლებინა ყველა სამამაკაცო „კაცობრივი“ საქმე „ომი და აბჯართა კაზმა“ „ოროლითა* „მღერა“ მშვილდოსნობა და სხვა, რაც „საჭაბუგო საქმე“ იყო. ამ კუთხით საინტერესოა „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი სტროფი, კერძოდ სიტყვები, რომელსაც წარმოთქვამს ნურადინ-ფრიდონი სამთა თათბირის დროს:

„ჩემსა სიმცროსა, გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდიან,
მასწავლნეს მათნი საქმენი, მახლტუნვებდიან, მწვრთიდიან;
ასრე გავედი საბელსა, რომ თვალნი ვერ მომკიდიან,
ვინცა მჭვრეტდიან ყმაწვილნი, იგიცა ინატრიდიან“.

არ უნდა ვიგულისხმობთ, რომ ფრიდონს მართლა სამუშაითოდ*, ჯამბაზად ზრდიდნენ. ფრიდონი, ისევე როგორც პოემის სხვა გმირები, არისტოკრატიული წარმომავლობისაა. უფრო მეტიც, ტარიელთან შეხვედრის დროს უკვე მეფეა და მეფის შთამომავალს მუშაითად, ჯამბაზად არავინ გაზრდიდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფრიდონი ყოველმხრივ იყო გაწვრთნილი, მას ჯამბაზის ხელოვნებაც – თოკზე სიარულიც – კი ასწავლეს; ხოლო ტარიელს 15 წლის ასაკში უკვე ნასწავლი ჰქონია: ბურთაობა, ნადირობა და ასპარეზობა. მინდა შევჩერდე ამ ორ უკანასკნელზე. ნადირობასა და ასპარეზობაში ყველა ქართველი ჭაბუკი უნდა ყოფილიყო დახელოვებული.

შუა საუკუნეები ომების ეპოქაა. ამ ეპოქაში წარმოებდა უამრავი საშინაო თუ საგარეო ომი. ომს სპეციალური მომზადება, მეომართა გაწვრთნა სჭირდებოდა. ნადირობა, კი, როგორც ცნობილია, სამხედრო წვრთნის საუკეთესო საშუალებად იყო მიჩნეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებში. იგი მოლაშქრეს აჩვენებდა სიძნელეთა დაძლევას, უშიშროებას, მოსაზრებულობას, იარაღის ხმარებას და ყოველივე იმას, რაც ომის დროს აუცილებელი იყო. „ერთი ინდოელი დიდებულის თქმით, „ნადირობა ომის დაა.“ ამ ეპოქაში ნადირობას ომის მოსამზადებელ ეტაპად თვლიდნენ. ასე იყო საქართველოშიც. ნიკო ბერძენიშვილი წერს: „ნადირობა ომის საუკეთესო სკოლად ითვლებოდა, რადგან იგი მოლაშქრეს აჩვენებდა სიძნელეთა დაძლევას, უშიშროებას, მოსაზრებულობას, იარაღის ხმარებას და ყოველივე იმას, რაც ომის დროს აუცილებელი იყო.“ ერთ-ერთ ისტორიულ საბუთში კი ვკითხულობთ: „ლაშქრობა ქვეყნის სიმაგრე არის და ნ ა დ ი რ ო ბ ა – ლ ა შ ქ რ ო ბ ი ს მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი“.

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ნადირობას „მარტო კერძო გასართობის თვისება არ ჰქონდა, არამედ სამხედრო ვარჯიშის მაგიერი იყო და ბეგარასავით სახელმწიფო ვალდებულებას წარმოადგენდა... ნადირობის კავშირს სამხედრო საქმესთან, მის სოციალურ ბუნებას ფეოდალურ საქართველოში არაერთი მკვლევარი ადასტურებს – წვრთნადასრულებულ ახალგაზრდა მამაკაცს მუდმივად ესაჭიროებოდა ვარჯიში, თავისი თავის, სამხედრო ცოდნის გამოცდა და საერთოდ მუდმივად საბრძოლო მზადყოფნაში ყოფნა. ამ მიზანს საქართველოში, ისევე, როგორც შუა საუკუნეების

მთელ ცივილიზებულ სამყაროში, ნადირობა ემსახურებოდა. სამხედრო-არისტოკრატიული გვარის შვილები ბავშვობიდანვე ეჩვეოდნენ სამხედრო წრეთობას, რადგან სამხედრო საქმე მომავალში, მათი ძირითადი მოვალეობა უნდა გამხდარიყო. შუა საუკუნეებში აღზრდა-წვრთნაში წამყვანი ადგილი ნადირობას ეჭირა. ნადირობა ომისთვის მზადების საუკეთესო საშუალებად იყო მიჩნეული და სამხედრო-ფიზიკური მომზადების კომპლექსურ საშუალებას წარმოადგენდა. ის მომავალ მეომარს იარაღის ხმარებაში – შუბისა და ისრის მიზანში ტყორცნაში, ცხენოსნობაში, ავარჯიშებდა; სხვადასხვა საბრძოლო ხერხს, სწრაფ მანევრირებას, მამაცობას, ფიზიკურ გამძლეობას უვითარებდა და აჩვევდა. ყოველივე ამას, ნადირობის დროს სწავლობდნენ, რაც შემდგომ, ომებში, თავის გამოჩენისა და მეფის კარზე დაწინაურების საშუალებას აძლევდათ.“

როგორც ვხედავთ, შუა საუკუნეების საქართველოში, ისევე როგორც დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ნადირობა იყო ფეოდალთა ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა, აღზრდა-წვრთნის საშუალება, სპორტი და გართობა. ნადირობის, როგორც მოლაშქრის საქმიანობის შესახებ ქართულ საისტორიო თუ ლიტერატურულ ძეგლებში უამრავი ცნობაა შემონახული. ამას გვაუწყებენ უცხოელი ავტორებიც. XVII საუკუნის იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის სიტყვებით – მეგრელი ფეოდალები „საშინელ პაპაქანება სიცხეში სანადიროდ მიდიან... ამას იმიტომ ჩადიან, რომ ცქვიტები და მარდები შეიქმნენ და შეეჩვიონ იმ გასაჭირს, რომელიც, ჩვეულებრივ ომიანობას თან მოჰყვება“.

ვახტანგ ბატონიშვილს თავის ნაშრომში – „ისტორიები აღწერა“ დახასიათებული აქვს სამეფო ნადირობა და იგი საომარ ლაშქრობასთან აქვს შედარებული: „ოდესცა ენებათ მეფესა ნადირობა... მოუწოდებდნენ კაცნი სამეფოთაგან მსგავსად საომართა ლაშქართა და მივიდიან მუნ რომელსაცა ადგილსა იქმნებოდა ნადირობა ესე... ხოლო ნადირი იგი იყვის ქურციკი და შემდგომად ნადირობისა მართვან მეფესა მოკლულნი თვისნი და აღიწერებოდა რიცხვი, ვის რა მოეკლა.“ აღნიშნული ამონარიდის ანალიზის შედეგად ცნობილმა ეთნოლოგმა ალექსი რობაქიძემ დაასკვნა, რომ ამგვარი ნადირობა გასამხედროებული ბუნების იყო, ხოლო ის გარემოება, რომ აღიწერებოდა რიცხვი, ვის რა მოეკლა მის სპორტულ ხასიათზე მიუთითებდა. ამ და სხვა წყაროების საფუძველზე, მან დაასაბუთა ნადირობის სამხედრო-აღმზრდელობითი მნიშვნელობა და დაასკვნა: „მრავალრიცხოვან მტერთან მუდმივად ბრძოლაში ჩაბმული ქართველი ხალხისთვის, იმ ხალხისთვის, რომელიც ერთი ხელით უდიდეს კულტურულ მშენებლობას ეწეოდა, ხოლო მეორეთი ნიდავგ მტერს იგერიებდა, რეგულარული არმიის არყოლის პირობებში სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა ნადირობას, როგორც სამხედრო ვარჯიშს. ორგანიზებული, მასობრივი ნადირობა წვრთნიდა ხალხს. ზრდიდა მასში საბრძოლო თვისებებს, ამტკიცებდა სამხედრო სულისკვეთებას და უზრუნველყოფდა ქვეყნის თავდაცვითუნარიანობას. დახელოვნებული მონადირე მოწინავე მებრძოლსაც ნიშნავდა და აქედან, ბუნებრივად, რაინდის იდეალის განუყრელ თვისებას დახელოვნებული ნადირობა და უცდომელი მოისარობა წარმოადგენდა“.

ცნობილია, რომ ნადირობას საზოგადოების განვითარების ყველა საფეხურზე მისდევდნენ. საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურზე მას წამყვანი

ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო შემდეგ მან ეს მნიშვნელობა დაკარგა და მხოლოდ დამატებითი, ისიც არა ყოველთვის და ყველგან, საკვები რესურსების წყაროდ იქცა.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ არის გამოთქმული აზრი, რომ ნადირობის სავარჯიშო-სასპორტო, გასართობმა ხასიათმა განაპირობა მისი დღევანდლამდე არსებობა.

ლაშქრობა-ომებისგან თავისუფალ დროს ჭაბუკ-მოყმენი სპორტულ წვრთნასა და შეჯიბრებაში მონაწილეობას ანდომებდნენ. ეს იყო, ნადირობასთან ერთად, გართობისა და ამასთანავე ფიზიკური წვრთნისა და საბრძოლო ვარჯიშის მეტად გავრცელებული და ჭაბუკ-მოყმეთათვის ძლიერ მიმზიდველი სახეობა. ამგვარ ღონისძიებებს საქართველოში ასპარეზობას უწოდებდნენ.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, – „მოასპარეზობა არს მხედართა მიერ ანძათა ისრისა სრევა, ბურთითა ყვანჭსა* ცემა. საგანთა სროლა და ეგვეითარნი“.

„ასპარეზი“ მისგან ნაწარმოები „ასპარეზობა“, „მოასპარეზე“ XI–XII საუკუნეებში საკმაოდ გავრცელებული სიტყვაა. ამ ხანის ძეგლებში ის არც თუ იშვიათად გვხვდება.

„ასპარეზი“... სპარსული ენიდან არის შემოსული... და ცხენის სარბენს ნიშნავს. როგორც ფიქრობენ, ქართულში თავდაპირველად ის ასეთი მნიშვნელობით გადმოვიდა, მაგრამ თანდათან ფართო მნიშვნელობა მიიღო და არა მარტო ცხენოსნებისთვის განკუთვნილ სარბენს ანუ მოედანს ეწოდებოდა, არამედ სხვა სპორტულ თამაშობათა და შეჯიბრებათა აღმნიშვნელი ზოგადი სახელი გახდა. ხოლო „მოასპარეზე“ მათ მონაწილესა და ამგვარ შეჯიბრებაში გაწვრთნილ კაცს შეერქვა.

ასპარეზი, ცხენოსანთა შეჯიბრის მნიშვნელობით, მოხენიებულია „ვეფხისტყაოსანში“, ტარიელი თავგადასავალის თხრობის დროს ამბობს: „სროლასა და ასპარეზსა აქებდიან ჩემგან ქმნილსა“.

საუკეთესო მოასპარეზე ყოფილა დავით სოსლანი. მემატიაზე გვაუწყებს, რომ იგი ყველას სჯობდა: „მშვილდოსანსა, ცხენოსანსა, და მცურავს, მოასპარეზესა, მწიგნობარსა და ყოველსა ხელთა სიკეთეთა.“

XI–XII საუკუნეების საქართველოში ხშირად ეწყობოდა ასპარეზობები, სადაც ტარდებოდა სხვადასხვა სახის სპორტული შეჯიბრება. ასპარეზობები ძალიან ჰგავს დასავლეთევროპულ ტურნირებს. აქ ვლინდებოდნენ საუკეთესო ჭაბუკები, მეომრები. ასპარეზობისთვის წინასწარ ემზადებოდნენ, მზადდებოდა საბრძოლო მოედანი – სარბიელი. ხდებოდა მონაწილეთა შეთანხმება, საბრძოლო იარაღის შერჩევის მიზნით. ასპარეზობას ყოველთვის საზეიმო ხასიათი ჰქონდა და მას ხშირად ესწრებოდნენ სამეფო ოჯახის წარმომადგენლები.

თბილისში, ალექსანდრეს ბაღის ადგილზე უწინ ყოფილა ასპარეზი, მერე მისთვის სახელი გამოუცვლიათ და ყაბახი დაურქმევიათ. აქ იმართებოდა თურმე დიდი სამხედრო ვარჯიშები და დოლი. ყაბახის თავსა და ბოლოს, ერთი მეორის გასწვრივ ორი თალარი* იდგა, რომლის თავზე შეჯიბრების დროს ოქროს ან ვერცხლის სანიშნე თასს დებდნენ.

ასპარეზობა, როგორც წესი, დიდი რელიგიური ან სხვა სახის დღესასწაულების მაგ., ომის წარმატებით დამთავრების შემდეგ იმართებოდა. ასპარეზობას კი ნადიმი

მოკყვებოდა. ამ კუთხით საინტერესოა ვახუშტი ბატონიშვილის მიერ აღდგომის დღესასწაულის აღწერილობა: „ხოლო აღდგომის წესი იყო: ადრე ნათლებისად წირვა და შემდგომად წირვისა მცირედითა სანოვაგითა ხორცთათა აღიხსნიდიან პირთა მეფე და დიდებულნი. შემდგომად გამოვიდის მეფე, და ყოველნი წარჩინებულნი და მცირებულნი* ასპარეზსა ზედა, და დასვიან სამეფო თასი ოქროსი ანუ ვერცხლისა ყაბახსა ზედა, დაიწყიან სროლა მას თასსა ისარნი მოყმეთა და ჭაბუკთა და, რომელი ჩამოაგდის ისრითა, მას მისციან თასი იგი. შემდგომად ამისა შექმნიან ბურთაობა და, რომელმან მხარემან აჯობის, იყო მხარე-თალარნი* სამეფონი, და მათ მისციან თვითთა თვითო (ეგრეთვე ქორწილისა დიდგამოჩუენებისა დღესა შინა ყვიან ესე ასპარეზსა ზედა), მერმე შემოვიდიან მეფისა თანა და შექმნიან ნადიმნი და პურობანი დიდნი მგოსან-სახიობთა, არამედ კათალიკონნი და ეპისკოპოსნი ვიდრემდის იყვნენ მუნ, არა იყო მწყობრთა ძალთა ცემანი, არამედ გალობანი, ხოლო შემდგომად წარსვლისა მათისა იყო მგოსანთა, მომღერალთა და ყოველთა სახიობთა ცემანი“. აქ თანმიმდევრობით არის აღწერილი, როგორ ტარდებოდა რელიგიური დღესასწაული საქართველოს ოფიციალური მიერ. პირველ რიგში რიტუალი, შემდეგ სპორტული შეჯიბრი, შეჯიბრის შემდეგ კი ნადიმი, ღვინვი სხვადასხვა სანახაობებით. ამ დღესასწაულებში, როგორც ვთქვით, მონაწილეობდნენ ქართველი რაინდები – ჭაბუკები, რაც ფიზიკურ წვრთნასთან ერთად, მათ სულიერ ამაღლებასაც უწყობდა ხელს. აქ ხდებოდა მათი ძალ-ღონის გამოცდა და ესთეტიური სიამოვნების მიღება.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ცხენ-ბურთით ვარჯიშის შესახებ, რომელიც ქართულ ისტორიულ წყაროებში ზოგჯერ „ჩოგნის“, და ზოგჯერ კი „ჩოგანბურთის“ სახელით მოიხსენიება. სპორტის ეს სახეობა, რომლის კლასიკური სახის აღწერილობა მოცემულია ქართულ ისტორიულ, ლიტერატურულ და უცხოურ წყაროებში, ფეოდალური არისტოკრატის სპორტულ გასართობად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მისმა შედარებამ სხვადასხვა ხალხურ თამაშობასთან, ქართველ მეცნიერებს საფუძველი მისცა ეთქვათ, რომ ქართველ ფეოდალთა წრეში საკმაოდ პოპულარული სპორტის ეს სახეობა, ხალხური თამაშობებიდან იღებდა სათავეს და მხოლოდ გართობის საშუალებას კი არ წარმოადგენდა, არამედ ფიზიკური აღზრდის მიზნებსაც ემსახურებოდა. სამხედრო მომზადების ეს მნიშვნელოვანი საშუალება, სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი იყო.

ქართული წერილობითი წყაროები სწავლების მეთოდზეც გვაწვდიან გარკვეულ ინფორმაციას. ისევ არჩილს მივმართავთ. იგი წერს, რომ ძნელია ახალგაზრდა კარგად დაეუფლოს იმ ცოდნას, რაც მას მოეთხოვება, ამიტომ საჭიროა მასწავლებელმა მას სწავლის პროცესი გაუადვილოს და ეს პროცესი მისთვის სახალისო გახადოს:

„მსწავლელი მოსწავლეებსა სასწავლოს არ გაუძნელებს,
მცირედ-მცირედის სწავლებით ძნელს საცოდნს გაუადვილებს,
ცოტა რამ კარგად ისწავლოს, გაუშვებს მალ ასადილებს;
უწინ პატ-პატა სწავლებით ამ დიდრონს დააქადილებს“.

ე. ი. მასწავლებელმა მოსწავლე ძალიან არ უნდა დატვირთოს და „მცირედ-მცირედის სწავლებით“ საფუძვლიანი ცოდნა უნდა მისცეს. ალბათ, სწორედ ამიტომ წვრთნას, ვარჯიშს ხშირად გართობის, დროსტარების ხასიათი ჰქონდა, ვგულისხმობ

ნადირობასა და ასპარეზობას. ხდებოდა თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენება. ამ საკითხს, არჩილის პოემაზე დაყრდნობით, განიხილავს სიმონ ჯანაშია და წერს: „მშვებლის ზნეობად... ის წესები უნდა ვიგულისხმოთ, რომლის მიხედვით, უნდა მოიქცეს ადამიანი, როცა იგი, დღიურ საზრუნავს მოშორებული დასვენებასა და მხიარულობას არის მოწადინებული. ქართველი ფეოდალები თავისუფალ დროს სახვადასხვა თამაშობაში (ასპარეზობა, ტანთვარჯიშობა, ანუ ფუნდრუკი, – საბას ტერმინოლოგიით, – „მღერა“ ანუ „ყუძარი“) და ლხინში ატარებდა. ამავე ჯგუფს ეკუთვნის თავისი ხასიათით ნადირობა... ასპარეზობასა და ტანთვარჯიშობას ის დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ, რომ ისინი ერთგვარ წინასწარ სამხედრო სკოლას წარმოადგენდნენ, სადაც იმდროინდელი მეომარი (ჩვეულებრივი ფეოდალი) სწავლობდა იარაღის ხმარებას..., ცხენზე ჯდომას..., სიცქვიტესა და სიმარჯვეს მოძრაობაში..., და საზოგადოდ სხეულს ივითარებდა. ამიტომაც აპყრობდნენ მას ასეთ ყურადღებას. არჩილიც მოითხოვს, რომ თითოეულმა უნდა იცოდეს: „მშვილდ-ისარი და ბურთაობა“, თუ „ბურთის სროლა, „აშფაშაქი,* ხელძალიანი ჯირითობა. ეს თამაშობანი ცხენზე, ამხედრებულად, უნდა შესრულებულიყო შესაფერისის სიცქვიტით.“

ამგვარად, ე. წ. „მშვებლის ზნეობა,“ რომელიც თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებას გულისხმობდა, მეომრის წვრთნის ძალდაუტანებელ, თავისუფალ ფორმად შეძლება მივიჩნიოთ და აღზრდის თავისებურ მეთოდად ჩავთვალოთ. იგივე უნდა ითქვას ნადირობაზე, რომელსაც გართობისა და დროსტარების ხასიათი ჰქონდა და საუკეთესო სამხედრო წვრთნას წარმოადგენდა.

მოკლედ, რომ ჩამოვაყალიბოთ შუა საუკუნეების საქართველოში მამაკაცთა აღზრდის სისტემა, შემდეგ სურათს მივიღებთ: მამაკაცის, მეომრის აღზრდას ემსახურებოდა იმდროინდელი აღზრდის არისტოკრატიული ინსტიტუტი. პროფესიონალი მეომრის აღზრდა იწყებოდა 5-6 წლის ასაკიდან და მიმართული იყო ბავშვის როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი განვითარებისაკენ, რადგან ამ ეპოქის ქართველი ჯარისკაცი, მოლაშქრე, იმდროინდელი საზოგადოების მოთხოვნის მიხედვით უნდა ყოფილიყო როგორც ფიზიკურად, ისე გონებრივად განვითარებული, სულიერად ამაღლებული, ზნეობრივად სრულყოფილი. ახალგაზრდებს წვრთნიდნენ აღმზრდელები, რომელთაგან ნაწილს, უმეტესად სამხედრო მოსამსახურეებს, ფიზიკური აღზრდა, ხოლო ნაწილს, ძირითადად სასულიერო პირებს, მათი გონებრივი განვითარება ევალებოდათ.

აღზრდის პროცესი 5-6 წლიდან ზრდის დასრულებამდე 16-17 წლამდე გრძელდებოდა, შემდეგ, ბუნებრივია, ჭაბუკ-მეომრებს პერიოდულად წვრთნა და ვარჯიში სჭირდებოდათ. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ცდილობდნენ 21-22 წლის ასაკამდე ახალგაზრდა ომში არ წაეყვანათ. ამ ვარჯიშს რეგულარული ხასიათი ჰქონდა. აღნიშნულ ვარჯიშებსა და წვრთნაში განსაკუთრებული ადგილი ნადირობასა და ასპარეზობას ეთმობოდა, რომლის დროს ხდებოდა ახალგაზრდა მეომართა ძალ-ღონის გამოცდაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საკმაოდ სერიოზული წვრთნა-ვარჯიშის ამ სახეს ძალდაუტანებელი, დროსტარებისა და გართობის ხასიათი ჰქონდა... ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეებში საქართველოში სამხედრო საქმით ძირითადად არისტოკრატია იყო

დაკავებული. მათ ქვეყნის დაცვა ევალებოდათ, ამიტომ აღზრდაც მათ მეტროლოდ ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა.

დაბალი სოციალური წრის წარმომადგენელთათვის კი როგორც ზემოთ ვთქვით, აუცილებელი იყო შრომა, მათ კარგად უნდა სცოდნოდათ სამეურნეო საქმე, რადგან გლეხი იყო ქვეყანაში ძირითადი მწარმოებელი; მაგრამ აქაც იყო გარკვეული სხვაობა მთისა და ბარის მოსახლეობას შორის. საქართველოს მთაში მოსახლე საზოგადოებას მუდმივად ესაჭიროებოდა შინაური თუ გარეშე მტრისგან თავდაცვა. გასული საუკუნის დასაწყისამდე აქ მოქმედებდა სისხლის აღების წესი, მთიელთა ცხოვრებაში არც თუ მცირე ადგილი ეკავა მეკობრეობას. მეკობრეობა თარეშით, თავდასხმით სარჩო-საბადებლის მოპოვებას გულისხმობდა. მთაში მეკობრეობა შემოსავლის ერთ-ერთი წყარო იყო და XIX საუკუნეშიც კი იგი სასახლოდ მიაჩნდათ მაშინ, როდესაც ბარში მეკობრეობა დანაშაულად ითვლებოდა და საკანონმდებლო ძეგლების მიხედვით უკვე XI საუკუნიდან იკრძალებოდა. იგივე უნდა ითქვას ნადირობის შესახებ. ნადირობა მთაში, განსხვავებით ბარისაგან, სარჩოს მოპოვების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. მაშინ, როდესაც განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ბარში გლეხს ნადირობის უფლება კანონით ჩამორთმეული ჰქონდა. ეს უფლება მხოლოდ ბატონს ეკუთვნოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთისა და ბარის მოსახლეობა სხვადასხვა წესით ცხოვრობდა. ეს წესები განაპირობებდა იმას, რომ მთაში მამაკაცები მეურნეობსაც ეწეოდნენ და ამასთან ერთად, საკმაოდ მაღალი დონის, შეიძლება ითქვას პროფესიონალი მეომრები იყვნენ. საქართველოს ბარის რეგიონების დაბალ სოციალურ ფენაში, შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, გლეხის მთავარ საქმიანობას აგრარული მეურნეობა წარმოადგენდა. როგორც ვთქვით, მას ბრძოლა მხოლოდ უკიდურესი გასაჭირის დროს უნდებოდა. ბარის გლეხობა ნადირობასაც ნაკლებად მისდევდა, აქ არც სისხლის აღების ტრადიცია იყო იმდენად გავრცელებული და მეკობრეობაც იკრძალებოდა. ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ქართველი გლეხებისგან საქართველოს სამეფო კარი ძირითადად სამეურნეო საქმიანობას მოითხოვდა და მას პროფესიონალ მეტროლოთა აღზრდას არ ავალებდა. უფრო მეტიც, განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში, გლეხს იარაღის ტარება და ნადირობა ეკრძალებოდა, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართველთა ლაშქარი გლეხობის წრიდან მეტნაკლებად მაინც ივსებოდა, ამ შემთხვევაში ისინი პროფესიულ სამხედრო განათლებას უმეტესად დიდგვაროვანთა კარზე იღებდნენ.

ამგვარად, შუა საუკუნეებში, საქართველოს ბარში დაბალი სოციალური ფენისგან პროფესიონალ მეომართა აღზრდას არც მისი ცხოვრების წესი და არც საქართველოს ოფიციალური მოითხოვდა, მაგრამ სამხედრო საქმეში საქართველოს გლეხობა მაინც გათვითცნობიერებული იყო და ბარში აღზრდის ტრადიციულ სისტემაში ფიზიკურ მომზადებას, სამხედრო წვრთნას მაინც გარკვეული ადგილი ეჭირა.

აღზრდის სოციალურ თავისებურებებზე მიუთითებს სამეგრელოში დადასტურებული ერთი ტრადიცია, რომელიც ს. მაკალათიას აქვს აღწერილი: სამეგრელოში ახალდაბადებულ ვაჟს ხელს მოაკიდებინებდნენ თოხზე, სახნისზე ან ნაჯახზე, – კარგი მუშა გამოვაო, თავადები და აზნაურები კი ბავშვს ხელში მისცემდნენ თოფს ან ხმალს, ცხენის აღვირს, კარგი მხედარი და მეომარი გამოვაო.

როგორც ვთქვით, საქართველოს მთიანეთში მამაკაცები სამხედრო საქმეს პროფესიულ დონეზე ფლობდნენ, რაც, უპირველეს ყოვლისა, მთის მოსახლეობის ცხოვრების წესით იყო განპირობებული, რომელიც მამაკაცს გარკვეულ მოთხოვნებს უყენებდა.

როგორი უნდა ყოფილიყო მთიელთა შეხედულებით მამაკაცი? რას მოითხოვდა მისგან მთის საზოგადოება. ამ მიმართებით საინტერესოა საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ტრადიციულ კუთხეში – ხევსურეთში, გასული საუკუნის შუა ხანებამდე შემორჩენილი ტრადიცია, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „დაჩვენების“, „იარალში ჩასმის“ წესს უწოდებს. ეს წესი ასეთი ყოფილა: „გაშლიდნენ ფარდას და მის გარშემო დააწყობდნენ თოფს, ხანჯალს, პურს. ყველსა და ფანდურს. შუაში ჩასვამდნენ ბავშვს, რომელსაც ფეხიც კი არ ჰქონდა ადგმული. ბავშვი პირველად რომელ საგანსაც წაავლებდა ხელს, იტყოდნენ, იმ საგნის მოყვარული იქნებაო; თუ თოფს წაავლებდა ხელს, – მონადირე და ამავე დროს „ურჯულოს“ (ქისტების) მხოცველი გამოვაო; თუ ხანჯალს ან ხმალს წაავლებდა, – შინაური მტრის მაგრად დამხვედრი, მოჩხუბარი და გულადი იქნებაო, შინაური მტერი მას ვერ დაჩაგრავსო; თუ ფანდურს წაავლებდა ხელს, – მომღერალი და მხიარული, თავის სიცოცხლეში „მაუწყენი“, მეშაირე და მოთამაშე იქნებაო; თუ პურს, – ძალიან მდიდარი და კარგი მასპინძელი, სტუმრის მოყვარული, კარგი მომუშავე და შრომაში დაულაღავი იქნებაო; თუ ყველს, – მას ბევრი ძროხა ეყოლობა და ბევრი ერბო-ყველი ექნებაო.“ რა თქმა უნდა, ძნელია იმის მტკიცება, რამდენად ვლინდება ამ ხერხით ბავშვის მიდრეკილება და უნარი, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია, რომ ბავშვის ირგვლივ დადებული საგნები ცხოვრების იმ სფეროების სიმბოლოები იყო, რომლის გარეშე ხევსურის არსებობა არ შეიძლებოდა და რომლისთვისაც ხევსური ვაჟი აუცილებლად უნდა მომზადებულიყო. თოფი – მონადირეობისა და გარეშე მტერთან ბრძოლის, ხანჯალი – შინაური მტრის მოგერიების, პური – მიწათმოქმედებისა და სტუმარმასპინძლობის, ყველი – მესაქონლეობის, ფანდური კი არა მხოლოდ „მხიარულებისა“ და „მაუწყენლობის“, არამედ ადამიანის სულიერი, ინტელექტუალური განვითარების სიმბოლოდ მიგვაჩნია. აქედან ნათლად ჩანს, რომ ხევსური ერთდროულად მეომარიც უნდა ყოფილიყო და მეურნეც, რადგან ის მოვალე იყო ეზრუნა ოჯახის რჩენასა და არა მარტო ოჯახის, არამედ მთელი საზოგადოების დაცვაზე შინაური და გარეშე მტრისაგან. ამასთან ერთად, ის უნდა ყოფილიყო გონებრივად განვითარებული, დაუფლებული ტრადიციულ ცოდნას. ზემომოყვანილიდან კარგად ჩანს, თუ რა მოთხოვნებს უყენებდა მთის საზოგადოება მამაკაცს. იმავედროულად მას ჩამოყალიბებული ჰქონდა იდეალური მამაკაცის ხატი, გმირის იდეალი, რომელიც ე. წ. „კაი ყმის“ სახეშია ასახული. ეს საკითხი ფშაური პოეზიის მაგალითზე განიხილა ვაჟა-ფშაველამ და აღნიშნა, რომ იდეალური გმირი „სოფლის მსხვერპლია“, იგი თავის თავისთვის „არ ცოცხლობს და იმდენს არ აკეთებს, რამდენსაც თემისთვის, მაგრამ ამ სამსახურისთვის სახელის მეტი არაფერი ჰრჩება“... ამავე დროს მთიელი ვაჟკაცი, უნდა ყოფილიყო ფიზიკურად ძლიერი:

„ვაჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარნი თუნდა ხისანი,

თვალნი ქორებულ მხედვანი,
ზედ მუხნი შავარდნისანი,

მაგრამ არა მხოლოდ ფიზიკურ სიძლიერეს მოითხოვდა საზოგადოება „კაი ყმისაგან“, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სამშობლოსათვის თავდადებას:

„კაი ყმა ლაშქარს მოკვდების
სწორების მჯობინობასა,
ცუდაი-ბოსლის ყორესა,
ქალების ლოგინობასა.“

ასეთია იდეალური მამაკაცის ხატი საქართველოს მთიანეთში. მას, პირველ რიგში, მტრის მოგერიებისთვის მუდმივი მზადყოფნა მოეთხოვებოდა. სწორედ ამიტომ, მტრის შემოსევების დროს საქართველოს მეფე ყოველთვის მთიელებს მიმართავდა: „უძველესი ხანიდან მოყოლებული მთიელთა ლაშქარი საქართველოს სამეფო კარს ერთგულად ემსახურებოდა და არა ერთხელ გამოუჩენია თავი სამშობლოს დასაცავად ბრძოლაში. ცნობილი ბერძენი გეოგრაფი და ისტორიკოსი სტრაბონი მოგვითხრობს: „მამაც და ძლიერ სვანებზე, რომელთაც საომრად მრავალრიცხოვანი ლაშქრის გამოყვანა შეეძლოთ...“ აქვე მოტანილია ცნობები მთიელი მებრძოლი იბერების შესახებ, რომელთაც ასევე ომიანობის დროს „მრავალი ათასი“ მეომრის გამოყვანა შეეძლოთ.

მთაში ლაშქრობა ტრადიციული ყოფის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი იყო. თავად მთიელი, მთიელთა ყოფა-ცხოვრების კარგი მცოდნე, განათლებით იურისტი ნიკო ხიზანაშვილი გასული საუკუნის დასაწყისში წერდა: „ფშავში ლაშქრობა ჩვეულებრივს ხელობას შეადგენდა. როგორც სხვა ჩვენს მთიულებს, ისე ფშავლებსაც მტერი არ აკლდა. მტერი ლაშქრავდა ფშავს და ეს ლაშქრავდა თავის მტერს.“

სვანი მოლაშქრეები მთელი შუა საუკუნეების მანძილზე და შემდეგაც თავგამოდებით იბრძოდნენ საქართველოს ლაშქარში მტრისგან თავდასაცავად.

ხაზგასასმელია ერთი გარემოება, თუ მეზობლად მცხოვრებ საქართველოს მთიანეთის სხვადასხვა კუთხის მოსახლეობას ხშირად უხდებოდა ერთმანეთთან შუღლი და ქიშპი, როცა საქართველოს სჭირდებოდა, ისინი ყოველგვარ შუღლსა და ქიშპს ივიწყებდნენ და ერთ მუშტად შეკრული იბრძოდნენ მამულისათვის. ამის მაგალითად ბახტრიონის ბრძოლაც იკმარებდა. როგორც ცნობილია, ბახტრიონის ციხის აღების დროს საქართველოს ჯარს დიდი დახმარება გაუწია თუშ-ფშავ-ხევსურების გაერთიანებულმა ლაშქარმა. „თუშ-ფშავ-ხევსურების ლაშქარი შეუერთდა ზაალ ერისთავის მხედრობას და 1659 წელს მათ ბახტრიონი აიღეს, ხოლო დამარცხებული სელიმ-ხანი გაიქცა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არა მარტო საქართველოში, არამედ საერთოდ მთიან მხარეებში მესაქონლეობასთან, მონადირეობასა და მთის მკაცრ ბუნებასთან დაკავშირებული ყოველდღიური ხიფათი, მეზობელ თემებთან შუღლი განაპირობებდა მთიელ მოლაშქრეთა პროფესიონალიზმს. სწორედ ამიტომ, შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში მეომართა ძირითად კონტიგენტს მთიელები შეადგენდნენ. სწორედ ამიტომ, ქართველ დიდგვაროვნებს ომიანობის დროს მთიელთა ლაშქრის იმედი ჰქონდათ.

მთიელთა, კერძოდ კი, ხევსურების ლაშქრის სტრუქტურის შესახებ. ცნობებს გვაწვდის ეთნოლოგი ვერა ბარდაველიძე: „სამხედრო ოპერაციების დროს ხევსურების უმცირესი და მცირე თემების მამროვანი ერთიანდებოდნენ და სახევო და სახევთაშორისო რაზმებს ადგენდნენ, რომლებსაც თავთავისი დროშები ჰქონდათ. ხოლო, სრულიად ხევსურეთის ლაშქარი (საღმრთო გუდანის ჯვარის ალმის (ჯვარის) წინამძღოლობით) ე. წ. სადროშოებისაგან დგებოდა, რომლებშიაც სახევო და სახევთაშორისო რაზმები იყო გაერთიანებული. ხევსურების არც ერთი სამხედრო ოპერაცია ორაკულის* გარეშე არ ტარდებოდა“. მთიელი, ხევსური მოლაშქრეების აღზრდის შესახებ ვერა ბარდაველიძე წერს: „ხშირ ლაშქრობათა და ძლიერ განვითარებული სისხლის შურისძიების გამო ხევსური მეთემე მუდამ შეიარაღებული იყო. ხევსური სიყრმიდანვე სწავლობდა სამხედრო ხელოვნებას და საგანგებოდ წნელისგან მოწნული საყმაწვილო ფარებითა და ხის დაშნებით ვარჯიშობდა. შინაური წვრთნის გარდა, რომელიც ბუნებრივია, ოფიციალურ ხასიათს არ ატარებდა, ხევსურებსა და სხვა ქართველი თემების საჯვარო და სახატო დღეობათა წლიური ციკლის კალენდარში შედიოდა გარკვეული რიგის დღეობები, რომლის დროსაც 8-12 წლის ბავშვები (ბიჭები), ჭაბუკები და შუახანს მიღწეული მამაკაცები ჯვარის ანუ ხატის მთავარი მსახურის უშუალო ხელმძღვანელობით აწყობდნენ დისტანციაზე სირბილს დროშებით ან უდროშოდ, სიმორეზე ქვის სროლას, სიმაღლეებიდან გადახტომას, ცოცხალი ფრინველებისთვის თავის წაწყვეტას, მტერზე დაცემის, ხელჩართული ბრძოლისა და მტრის დატყვევების ინსცენირებას. დოღს და სხვა მისთანათ, რაც თავდაპირველად უეჭველია, მიზნად ისახავდა მეთემეთა მომზადებას საომარი მზადყოფნისათვის და სამხედრო ლაშქრობისათვის“.

საერთოდ ვაჟების აღზრდას ხევსურეთში მეტ ყურადღებას უთმობდნენ. იმისთვის, რომ მომავალი ცხოვრებისთვის მომზადებულიყო, თავისუფლად და თამამად ზრდიდნენ. აკაჟებდნენ, ფიზიკურად ძლიერი, რომ გამოსულიყო. ალერსით არ ანებივრებდნენ. ვაჟის აღზრდაზე მამა ზრუნავდა. გასული საუკუნის 30-იან წლებში, გიორგი თედორაძე, პროფესიით ექიმი, რომელიც ხუთი წელი მუშაობდა ფშავ-ხევსურეთში, ხევსურულ აღზრდის ტრადიციებზე წერდა: „მამა მოვალე იყო შვილი აღეზარდა ხევსურული მკაცრი წესების მიხედვით. ვაჟებს წვრთნიდნენ ხმლის ხმარებაში, მხედრობაში, მუშაობაში, უამბობდნენ გმირების თავგადასავალს ჰგეშავდნენ გარეშე მტერზე, ასწავლიდნენ ხევსურულ ზნე-ჩვეულებებს, თავიანთებურ რაინდობას, მეურნეობას.“

მამებთან ერთად, ვაჟის აღზრდაზე საქართველოს მთიანეთში მთელი თემი – საზოგადოება მონაწილეობდა. გამოთქმულია აზრი, რომ მთიელ ბავშვთა აღზრდა ოჯახთან ერთად, საზოგადოების მოვალეობაც იყო და მას თემის უხუცესები ახორციელებდნენ. ხალხური სპორტის მკვლევარი ვ. ელაშვილი მთიელთა აღზრდის სისტემას რამდენიმე ეტაპად წარმოგვიდგენს. 4-5 წლამდე ბავშვის აღზრდელი იყო დედა, შემდეგ ბავშვის აღზრდას ხელს ჰკიდებდა მამა, რომელიც ბავშვის ასაკის გათვალისწინებით, მას შრომით ჩვევებს უმუშავებდა. დაუმატებდი, რომ საბრძოლო ელემენტებსაც ასწავლიდა (ნ. მ.). შემდეგ უფრო რთულ მოქმედებებზე გადადიოდა სხვადასხვა ბუნებრივ პირობებში. მოძრავ თამაშებთან ერთად, ასწავლიდა არა მარტო მოქმედების, არამედ ქცევის „სიბრძნესაც“. მოზარდების აღზრდაში კი უკვე თემი,

თემის უხუცესები ერეოდნენ. ვ. ელაშვილი სავსებით მართებულად ასკვნის, რომ მთიელთა აღზრდის სისტემაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მაგალითის როლი. უფროსი თაობა, მათი ქცევა იყო უდავო მაგალითი ახალგაზრდობისათვის, რადგან მთელი მათი ცხოვრება მიმდინარეობდა მათ თვალწინ და მათი მზრუნველობის ქვეშ. ისინი იყვნენ ახალგაზრდობისათვის მამაცობისა და სიბრძნის ეტალონები. მათ ბაძავდნენ შრომასა და ბრძოლაში. თემს სჯეროდა, რომ უფროსების მაგალითზე აღზრდილი თაობა განუხრელად შეასრულებდა ადათებს და ზნეობის დადგენილ წესებს დაიცავდა.

ხევსურები ცდილობდნენ გამოემუშავებინათ ვაჟში სიმტკიცისა და გამძლეობის უნარი, გაეზარდათ იგი გულადი და მამაცი. 13 წლის ხევსურს იშვიათად, მაგრამ მაინც შეეძლო სერიოზულ შეტაკებაში მონაწილეობის მიღება სოფლის საზღვრების გამო გამოწვეული არხოტივნებსა და ქისტების ერთ-ერთი შეტაკების დროს, ქისტებს მოუპოვებიათ გამარჯვება, მაგრამ შეტაკების მთავარი მონაწილე გაგა ბალიაური ვერაფრით გაუტეხიათ. გაგას სოფლისთვის შემოუთვლია: „ვისაც გასროლის თავი აქვს, 12 წლის ზევით ვინც არის თავის თოფიანად ყველანი წამოვიდნენო“. მართლაც, დაძრულა მთელი ხალხი, 12 წლის ბიჭების ჩათვლით, და ბრძოლის ბედიც ხევსურების სასარგებლოდ გადაწყვეტილა.

„ხევსურეთში ყმაწვილებს გარკვეულ ასაკში, უკვე 4-5 წლიდან აძლევდნენ სავარჯიშო იარაღს: ხის ხმლებს, ხისგანვე დაწნულ ფარებსა და მშვილდ-ისრებს უმთავრესად პრიმიტიული ფორმისას.

სავარჯიშო იარაღებით ახალგაზრდობა ეჩვეოდა იარაღის წესიერ ხმარებას. განსაკუთრებით გულმოდგინებით სწავლობდნენ ისრის მიზანში ტყორცანას. იწრთობოდნენ და ემზადებოდნენ იმისათვის, რათა სახელოვანი მოლაშქრენი გამხდარიყვნენ.“

ნიკო ხიზანაშვილი გასული საუკუნის დასაწყისში წერდა: „ისრის სროლა ბავშვებმა მარჯვედ იციან, რადგან მათი სავარჯიშო იარაღი მშვილდ-ისარია“, მაგრამ მხოლოდ ფიზიკურ წრთობას არ ითვალისწინებდა მთიელთა აღზრდის სისტემა. მამები ვალდებულები იყვნენ შვილები კარგ მეურნეებად გაეზარდათ, გონებრივად განეხილათ და რაც მთავარია, მათში ღირსების გრძნობა გამოემუშავებინათ. სწორედ ამიტომ, მამები ვაჟებს დიდების წრეში ზრდიდნენ, აჩვენებდნენ საუბარს, ასწავლიდნენ ადათ-წესებს, პატარა ხევსურს პატივისცემით ეპყრობოდნენ, ფეხზე წამოდგომით და ხელის ჩამორთმევით მოიკითხავდნენ, შრომასაც თავიდანვე აჩვენებდნენ. ორი-სამი წლისას ოჯახში უკვე დავალებებს აძლევდნენ. სერგი მაკალათია წერს: „ბავშვის აღზრდაზე, განსაკუთრებით ვაჟებზე, უფრო მამა ზრუნავს, რადგანაც, ხევსურის გაგებით, შვილი მამას ეკუთვნის, ამიტომ პატარაობიდან შვილები მამას უფრო ეტრფიან და მასთან წვებიან. ვაჟებს უფრო ყურადღებით ზრდიან და კარგად კვებავენ, რათა მაგარი და გულადი ვაჟკაცი გამოვიდეს და ამასთანავე ხევსურული რჯულისა და ადათების კარგი მცოდნე და აღმსრულებელი. ვაჟებს ხევსურეთში პატარაობიდანვე ავარჯიშებენ ფარიკაობაში და მშვილდ-ისრობაში და ამგვარად, ხევსურები ბავშვობიდანვე ემზადებიან მუდლისა და კეჭნაობისთვის.“

ხევსურეთში ვაჟებს პატარაობიდანვე ხანჯლებს ჰკიდებდნენ და 10-12 წლის ყმაწვილი იარაღს ზოგჯერ თავისუფლად ხმარობდა. ვაჟებს თავიდანვე უნერგავდნენ

ხევსურულ გოროზობას, სიმკაცრეს და გამძლეობას. მამები ვაჟებს დიდების წრეში ზრდიდნენ, აჩვევდნენ ადათ-წესებს. ბავშვები ყოველთვის ესწრებოდნენ საზოგადოებრივ თავყრილობებს, ვაჟები 4-5 წლის ასაკიდან ადგილობრივ რელიგიურ დღესასწაულებში მონაწილეობასაც კი იღებდნენ. არხოტში სულთაკრეფის დღესასწაულის დროს იმართებოდა ხევსური ბიჭების შეჯიბრი მშვილდოსნობაში, რასაც უფროსი თაობა სრული სერიოზულობით ეკიდებოდა. მთიელი მოლაშქრე გაწვრთნილი უნდა ყოფილიყო სხვადასხვა სახის იარაღის ხმარებაში,... მას შემდეგ რაც საქართველოში თოფი შემოვიდა, ახალგაზრდებს თოფის სროლაშიც წვრთნიდნენ, მაგრამ ბავშვს თოფს, რა თქმა უნდა, არავინ აძლევდა. მათ სათამაშო თოფებს უთლიდნენ ხისგან. შემდეგ კი როცა წამოიზრდებოდა, მამა მიზანში სროლასაც ასწავლიდა. ამგვარად, ხევსური ვაჟი ბავშვობიდანვე სწავლობდა მშვილდ-ისრის მოხმარებას, რომელსაც უკვე დიდი ხანია თავისი საბრძოლო თუ სამონადირეო ფუნქცია დაკარგული ჰქონდა, მაგრამ მაინც მთელ საქართველოში ითვლებოდა, რომ ბიჭს ისრის სროლა აუცილებლად უნდა სცოდნოდა.. რაც მას მხედველობას უნვითარებდა, მიზანში სროლაში აოსტატებდა. ასევე დახელოვნებული უნდა ყოფილიყო ე. წ. „ფრანგულის“ ანუ ხმლის ხმარებაში, რომელსაც ჰქონდა ხის ტარი და ვადა, ხმლის ქარქაში სალტით იყო შეკრული და წვერზე ბუნი* ეკეთა. „ფრანგული“ ხევსურული ტრადიციული კოსტიუმის ერთი მთავარი ატრიბუტი იყო, ქამარ-ხანჯალსა და ფართან ერთად. ხევსურები ამასთანავე ატარებდნენ თითზე წამოსაცმევ იარაღებს: ლაჯიას ადგილობრივად გაკეთებულ რკინის დაკბილულ იარაღს და სათითეს სამად დახვეულ თითბრის ბეჭედს... ხევსურული ფარი რკინის იყო და მასაც ადგილობრივი ოსტატები ჭედავდნენ. უწინ ხევსურები ჯაჭვის პერანგსა და ჩაჩქანსაც ატარებდნენ და მათ ტარებას ბიჭს ბავშვობიდანვე აჩვევდნენ.“

ნათელია, რომ ხევსური მამაკაცი ჰამონიულად იზრდებოდა. იგი იყო მეომრად გაწვრთნილი იმისთვის, რომ მუდამ მზად ყოფილიყო დაეცვა თავისი ოჯახი, კუთხე და ქვეყანა შინაური თუ გარეშე მტრისაგან. ბავშვობიდანვე ეჩვეოდა შრომას, რათა მზად ყოფილიყო ოჯახის სარჩენად. იმავედროულად ყოველი ხევსური კარგად ფლობდა ცოდნას, რომელიც ხევსურეთში საუკუნეების მანძილზე იყო დაგროვილი. წარსულის ისტორიებს, წინაპართა გმირულ თავგადასავლებს, რაც ხევსურულ ანდაზებში იყო ასახული, ხევსური ვაჟი თითქმის ყოველდღიურად ისმენდა ოჯახში, საზოგადოებრივ თავყრილობებსა თუ რელიგიურ დღესასწაულებზე. ხევსურეთის მკვიდრის ალექსი ოჩიაურის გადმოცემით, ზოგან მაგალითად, არხოტის თემში სოფელ ახიელში ახალი წლის (წელწადის) ციკლის ერთ-ერთ დღესასწაულზე (უკანაშუადღე) სოფლის ჯარზე* გარდა საგმირო ლექსების, საგმირო ძველებურ კილოზე მღერისა, სხვა რამ „მხიარულობა არ შეიძლებოდა.“ ეს ტრადიციები ხევსურ ახალგაზრდას თავისი კუთხის ტრადიციულ კულტურას, წინაპართა გამოცდილებას, გმირულ წარსულს აზიარებდა, მათ პატივისცემას უნერგავდა, პატრიოტული გრძნობით აღავსებდა, რაც ფიზიკურ წრთობასთან ერთად, მას, როგორც სამშობლოს სიყვარულით აღვსილ, თავგანწირვისთვის მზადყოფ პროფესიონალ მოლაშქრედ აყალიბებდა.

ასეთი აღზრდის შედეგი იყო, ალბათ, რომ ხევსური: „ჯანსაღია და მაგარი. ამასთანავე, ის ამტანია და გამრჯე. საშუალო ტანისაა, მხარბეჭიანი და კუნთმაგარი... ქცევაში დინჯია, მოქმედებაში მარდი. გულადობა და გამბედაობა ხევსურს არ აკლია და თავისი პიროვნების დასაცავად თავგანწირვამდე მიდის. გულზვიადი და თავმოყვარე ხევსური ზნეობრივ შეურაცხყოფას ვერ იტანს და თვითმკვლელობასაც სჩადის. უცხოსთან ხევსური ამაყია, მას ხევსურობით თავი მოაქვს, უცხოური არ მოსწონს და მას არც ბაძავს. ამასთანავე ხევსური ფრთხილია და იჭვიანი. ის ადამიანს ძნელად დაენდობა, მაგრამ დანდობილს, ხევსური სამარემდე ჩაჰყვება და არ უღალატებს.“

ვაჟის აღზრდის მსგავსი ტრადიციებია დადასტურებული საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებშიც.

სვანეთში ოდითგან მისდევდნენ ერთ ორიგინალურ წესს: ბავშვი ფეხს რომ აიღვამდა და ლაპარაკს დაიწყებდა, კერის ფიქალზე მისი კვერიც გამოცხვებოდა და ამ პერიოდთან მასაც დააწყებინებდნენ შრომა-საქმიანობას, რა თქმა უნდა, გათვალისწინებული იყო მისი შესაძლებლობანი, ძალ-ღონე, თავდაპირველად იოლ დავალებებს აძლევდნენ, ასაკის მომატებასთან ერთად იზრდებოდა მისთვის გამომცხვარი, მისი წილი პურის ზომაც, იმ ანგარიშით, რომ მას ძალ-ღონე ემატებოდა, ამასთან ერთად, მისი დასაქმებაც ოჯახში უფრო ინტენსიური ხდებოდა.

ამგვარად, შინაურ საქმეს სვანი თანდათან ეჩვეოდა, ამავე დროს ხდებოდა მისი სამხედრო მომზადება. პირველ რიგში წვრთნიდნენ მშვილდოსნობაში. სამი წლიდან სათამაშო მშვილდს უკეთებდნენ, შემდეგ სხვა იარაღსაც აჩვენებდნენ. აქაც ისევე, როგორც ხევსურეთში, 12-13 წლის ბიჭი თითქმის ყველა სამხედრო იარაღს კარგად ხმარობდა.

აღზრდის მსგავსი ტრადიციები დადასტურებულია სამეგრელოში. საინტერესო ცნობებს, ბავშვების სამხედრო მომზადების შესახებ, გვაწვდის არქანჯელო ლამბერტი, რომელიც XVII საუკუნეში იყო საქართველოში. „მეგრელები, წერს იგი, როგორც ქვეყნიერების დანარჩენი ერნი ჩვეულნი არიან ომსა, იმდენად ჩვეულნი, რომ მშობლებს სულ პატარები დაჰყავთ ლაშქარში და არ არიდებენ იმ გაჭირვებას, რომელიც იქ უნდა გადახდეთ. ბავშვები ისე ატარებენ იარაღს, უკავიათ ხელში ფარი და ხმარობენ მშვილდსა, თითქოს დაბადებიდან შეჩვეულნი იყვნენ ბრძოლას. ყველანი ისე გულმოდგინედ ეკიდებიან ამ ხელობას, რომ მუდამ მზად აქვთ ყოველივე, რაც საჭიროა ლაშქრობის დროს.“

იგივეს წერს ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომლის ცნობები ასევე XVII ს-ს საქართველოს ეხება: „მეგრელების იარაღია: შუბი, მშვილდ-ისარი, მოუხრელი სწორი ხმალი, კომბალი, ფარი; ცეცხლსასროლ იარაღს ცოტანი თუ ხმარობენ. ისინი კარგი მეომრები და კარგი მხედრები არიან. ძალიან დახელოვნებულნი არიან შუბის ხმარებაში. მშვილდ-ისრის სროლას ოთხი წლიდან ასწავლიან ბავშვებს, რომლებიც ისე კარგად ეუფლებიან მას, რომ გაფრენილ პატარა ჩიტსაც კი ახვედრებენ ისარს.“ შარდენი წერს სამეგრელოს ლაშქრის შესახებაც. მისი მონაცემების მიხედვით, „მთელ სამეგრელოში მხოლოდ ოთხი ათასი მეომარია, რომლებიც ფაქტიურად თითქმის მხოლოდ მხედრები არიან. ამ კავალერიასთან ერთად მხოლოდ სამასკაციანი ქვეითი ჯარი ჰყავთ. მეომრები არ არიან გაერთიანებულნი სამხედრო შენაერთებსა და

რაზმებში თითოეულ მებატონესა თუ აზნაურს თავისი ხალხი ბრძოლაში გამოჰყავს ყოველგვარი წესების, წყობისა და ოფიცრების გარეშე და ისინი მუდამ თან ახლავენ მათ, როგორც უკან დახვევისას, ისე მტერზე თავდასხმის დროს“.

აღზრდის სისტემაში, როგორც ვთქვით, განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ნადირობას, სპორტულ შეჯიბრებებსა და თამაშებს, რომლებიც პოპულარობით სარგებლობდნენ დიდგვაროვანთა შორის. ფიზიკური განვითარებისათვის საუკეთესო იყო კოლექტიური სპორტული თამაშობანი. სპორტული შეჯიბრებები, რომელშიც ყოველთვის მონაწილეობდა გლეხობა, არც თუ იშვიათად დიდგვაროვნებთან ერთად. მაგალითად გურიაში, ფართოდ გავრცელებულ ლელობურთში, უწინ, თავადებთან: ერისთავებთან, გუგუნავებთან, გურიელებთან, ნაკაშიძეებთან... ერთად, გლეხებიც ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

საქართველოში ხშირად იმართებოდა დოლი. მთაში ძირითადად რელიგიური დღესასწაულების დროს, ბარში კი ხანდახან სპეციალურად დათქმულ დღეებშიც. ცნობილი ქართველი ეთნოლოგის გ. ჩიტაიას სიტყვებით: „იმ ქართულ სპორტულ თამაშობათა შორის, რომელთა ძირითად დანიშნულებას სამხედრო ფიზიკური აღზრდის უზრუნველყოფა წარმოადგენდა, ცხენოსნობას განსაკუთრებული ადგილი ეჭირა.

სპორტული შეჯიბრებები და თამაშები, როგორც ვთქვით, რელიგიური და სხვა სახის დღესასწაულების დროს იმართებოდა. ასევე მიცვალებულის მოსაგონარ დღეებში. ამ დღეებს შორის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო წლისთავი, რომლის დროსაც ტარდებოდა დოლი. დოლში მონაწილეობის მიღება შეეძლო მიცვალებულის სოფლის ყველა მამაკაცს, ჭირისუფლის ნათესავებს, სხვა სოფლებიდანაც. სადოლე ცხენებს თუშები წინასწარ წვრთნიდნენ.

დოლის ადგილი და მანძილი სოფელში განსაზღვრული იყო. მებაირაღე აიღებდა ნიშანზე დასასვენებელ ბაირაღს, ცხენს გააჭენებდა და ბაირაღს წინასწარ დანიშნულ ადგილზე ჩასვამდა. ცხენოსნები ერთ ადგილზე შეჯგუფდებოდნენ სარბევის, სარბიელის საზღვარზე. მათ წინ დადგებოდა მოხუცი, რომელსაც ხელში ჯოხი ეჭირა, ნიშნის მიცემამდე ცხენი რომ არავის გაეჭენებინა. მოხუცის მიერ ნიშნის მიცემისთანავე მხედრები ცხენებს გააჭენებდნენ. ბაირაღთან მეთვალყურე იდგა, რომელიც დაწინაურებულ ცხენოსნებს მოსვლის რიგის მიხედვით ნომრებს ურიგებდა. პირველ ცხენოსანს ალაში ერგებოდა, მეორეს – სხვა სახის „პრიზი“, უმეტესწილად თუშური ჩითები, მესამეს – წინდა და ა.შ. შემდეგ კი იმართებოდა ე.წ. ღაბახობა, ყაბახობა*. ყაბახის ნაცვლად, აქ უმეტესწილად სანიშნედ პურს და რაიმე სხვა საგანს დადებდნენ და მიზანში ესროდნენ, თუ მოარატყამდნენ, სანიშნე მისი იყო. ხევსურეთში კი მიცვალებულის მოსაგონარი ერთ-ერთი დღეობის – სულთაკრეფის დროს იმართებოდა ე. წ. თოფის სროლა. ყველა მიცვალებულის პატრონი გამოაცხობდა ე. წ. სათოფეს. სათოფე თხელი და ფართე პურია. ზედ გადააკრავდნენ უბრალო ფართლის ნაჭერს. ამ სათოფეებს გაიტანდნენ თოფის სასროლად განსაზღვრულ მანძილზე და დააყენებდნენ ერთიმეორესგან დაშორებით თოვლზე. ერთ ადგილას სოფელი იყო თავმოყრილი, თან თოფები ჰქონდათ მიტანილი. კენჭისყრით იწყებოდა სროლა. ვინ, რომელ სათოფესაც მოარტყამდა,

სათოფე პურიც მას რჩებოდა. თუ სხვა რაიმე ჯილდო იქნებოდა ამ სათოფეზე დაყენებული, იმასაც მას მისცემენ.

ბავშვებს კი ამ დროისთვის დამზადებული ჰქონდათ მშვილდ-ისრები. მშვილდს აკეთებენ ხის ტოტისაგან, ისარს კი ეკლისაგან, რომელსაც სამ ფთეს (ფრთას) დააკრავენ. ფთეების წინ ისარს მშვილდის საბმის (თოკის) ჩასაჯდომი ჭდე ჰქონდა. ბოლოში კი რკინის ზარი. მშვილდს ცაცხვის ხის ლაფანისგან ან კანაფისგან დაწნულ საბამს უკეთებენ. სამიზნედ ბავშვებისთვის ე. წ. ვაცის გამოცხობა იცოდნენ. ეს ვაცი, ფაქტობრივად, ცხვრის ფორმის სამიზნე იყო.

ვაცებს დადგამდნენ თოვლში და დაუწყებდნენ შორი მანძილიდან ისრების სროლას. რომელ ვაცსაც მოხვდებოდა ისარი, ის რჩებოდა მას, ვინც მოარტყა. თუ შემთხვევით ორი ისარი მოხვდებოდა ან რამდენიმე, მაშინ ანაწილებდნენ ვაცსაც და ჯილდოსაც... სპორტული შეჯიბრებები ტარდებოდა ქორწილის დროსაც. მაგ.: სამეგრელოში ქორწილის მეორე დღეს სცოდნიათ ნიშანში სროლა. ამ მიზნით დადგამდნენ ყაბახს, ხეზე მიაკრავდნენ გრძელ ჯოხს, რომელზედაც თეფში იყო ჩამოკიდებული და ვინც მას ნიშანში ამოიღებდა და ჩამოაგდებდა, მას ასაჩუქრებდნენ.

საინტერესოა ერთი სვანური თამაში, რომელსაც „ლინდშალ“ ეწოდება. ეს თამაში აღწერილი აქვს სვანეთის მკვიდრს, XIX საუკუნის მოღვაწეს ბესარიონ ნიჟარაძეს: „ყოველ ყმაწვილს 12 წლამდინ აქვს ხის ლეკური (დაშნა), რომელსაც იგი ინახავს წლიდან წლამდე, სანამ დანიშნულ ხნოვანებას არ გადასცილდება. ნათლისღების მომყოლს ორშაბათს, ღამით, ბავშვები ერთის სოფლისა დაიკიდებენ ამ დაშნებს და თავს მოიყრიან სოფლის ერთს უკაცურს სახლში. დილით ადრე ადგებიან, ჩამოივლიან სოფელს და ყოველს მოსახლისას მიდიან ერთად. სახლში შესვლისთანავე ყმაწვილები ამოიღებენ თავისებურს ქარქაშისაგან დაშნებს და ურტყამენ სხვადასხვა ავეჯეულობას ოჯახისას, რომელიც ჩამოკიდებულია, – ერთის სიტყვით მოქმედებენ ისე ჩქარა და აღელვებული, თითქო იერიშით ოჯახს იღებენო, ხშირად ოჯახი იძულებულია ძალით გარეკოს კარში პატარა „მეომარნი“ თუმცა ისიც ახსოვს, რომ ჩვეულებას პატივი უნდა სცენ.“

როდესაც რელიგიურ დღესასწაულებზე გამართულ სპორტულ შეჯიბრებებზე და თამაშებზე ვლასპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ბერიკაობა-ყეენობის შესახებ. რომელიც ეთნოლოგმა ჯ. რუხაძემ შეისწავლა. ბუნების აღორძინებასა და აგრარული კულტმსახურებისათვის განკუთვნილი გაზაფხულის ეს მრავალდღიანი დღესასწაული თებერვალში საქართველოს ყველა კუთხეში დასტურდება. მას ყოველთვის თან ახლდა სხვადასხვა სახის სპორტული შეჯიბრი და თამაში. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ამ დღესასწაულის დროს, ბრძოლის ომის იმიტირებული სცენები იმართებოდა.

გარდა ღოლისა და ყაბახისა, რელიგიურ დღესასწაულებზე სხვა სახის სპორტული შეჯიბრებებიც ტარდებოდა. ყველაზე ხშირად ფარიკაობა, ჭიდაობა... ამ შეჯიბრებებში ბავშვებიც მონაწილეობდნენ და ასე ხდებოდა მათი ფიზიკური წვრთნა.

ეთნოლოგი ალექსი რობაქიძე თამაშების შესახებ წერს: „აღზრდის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თამაშებს. ფიზიკური აღზრდის საშუალებათა იმ უმდიდრეს საგანძურში, რომელიც ხალხის მიერ არის შექმნილი, ორი ძირითადი ჯგუფი შეიმჩნევა – თამაშობანი („მოძრავი“ და სპორტული) და ვარჯიშობანი.“

აღზრდის სისტემაში არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმ თამაშებს, რომელსაც ბავშვი ყოველდღე თავის ეზოში, სოფელში, ამხანაგებთან ერთად თამაშობდა. ეს თამაშები, ბავშვს როგორც ფიზიკურად, ისე გონებრივად აწვითებდა. სწორედ ასეთი თამაშების შესახებ წერდა აკაკი წერეთელი: „ქართველების ოდენი სხვადასხვაგვარი სათამაშო თითქმის არცერთს ხალხს არა აქვს და ყოველგვარი სათამაშოც უთუოდ ისეთია, რომელიც ჭკუა-გონებასა და სხეულს სწრვთნის, ავარჯიშებს“ და შემდეგ იგი ერთ-ერთი ხალხური თამაშის დადებით მხარეებზე ლაპარაკობს: „ბურთაობის დროს თვალი, ფეხი, ხელი, თავი, ტანი და ყველაფერი თანასწორად ეჩვევა სიმარდეს“.

ასეთი თამაშები სამხედრო თამაშებად შეიძლება ჩაითვალოს. მათ ვაჟების აღზრდაში საკმაოდ დიდი ადგილი ეკავათ. ამ თამაშებით ბიჭები სწავლობდნენ: ცხენოსნობას, მშვილდოსნობას და სხვადასხვა სახის იარაღის ხმარებას. ეს თამაშები მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მამაკაცის როგორც ფიზიკურ განვითარებაში, ისე მენტალიტეტის ჩამოყალიბებაში და პატრიოტულ აღზრდაში.

ქართველმა ეთნოლოგმა ნინო ლოლობერიძემ შეისწავლა ქართული ხალხური გართობა-თამაშობანი და მოახდინა მათი კლასიფიკაცია: გამოყო სამონადირეო, საყოფაცხოვრებო, გონების სავარჯიშო... თამაშები. აღნიშნა ასევე, რომ ბავშვები თამაშს იწყებდნენ 5-6 წლიდან და თამაშობდნენ 14-15 წლამდე. „ეს თამაშები აწვითებდა ბავშვის ფიზიკურ მონაცემებს, გამოუმუშავებდა სიმარდეს, წონასწორობის გრძობას, მთელ სხეულს ავარჯიშებდა... ბავშვის გონებრივ განვითარებას კი ემსახურებოდა გამოცანები, ანდაზები, ენის გასატეხები, რომლითაც ბავშვს ართობდნენ“. საილუსტრაციოდ მოვიყვან გურიაში ჩაწერილ ერთ-ერთი ასეთი თამაშისა აღწერილობას, რომელიც სიმარდის, წონასწორობის, მიზანში სროლის უნარის განვითარებას ემსახურებოდა. აღწერილობა მოგვყავს ნ. ლოლობერიძის მიხედვით: „სიმარდის გასავითარებელი წვრთნა იწყებოდა ჯერ ადგილზე შესრულებული სავარჯიშოებით მაგ.: სირბილი გარკვეულ მანძილზე დანიშნულ საზღვრამდე, ზოგჯერ ცალ ფეხზე. ასაკის მომატებასთან ერთად, მატულობდა გასაქცევი მანძილიც. იყო ტომარაში ჩამჯდარი ბავშვის სირბილიც და სხვა. წონასწორობის გრძობის გამოუმუშავებას ემსახურებოდა ხის ტოტზე ან მსხვილ თოკზე სიარული. თვალსაზომის, მიზანში მორტყმის უნარის განვითარებას კი მიზანში ქვის სროლა, რასაც „ქვის დაყუდებას“ უწოდებდნენ. სხეულს მრავალმხრივ აწვითებდა შეჯიბრი ხეზე ასვლაში ან ე. წ. ჭოკზე ცოცვაში, სხეულის მრავალმხრივ განვითარებასა და ღონის გამოცდას ემსახურებოდა ხელის გადაწევა, მძიმე ქვის აწევა, ჭიდაობა და სხვა.

სწორედ გურულების შესახებ წერს XIX სსაუკუნის ერთ-ერთი ავტორი: „გურულები მოქნილები, ცქვიტები, გამბედავები, საზრიანები, გონებამახვილები არიან. ამ თვისებათა ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო გურულებისთვის საყვარელმა თამაშებმაც“.

ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა მეომრის აღზრდის ხალხური ტრადიციები საქართველოში. საინტერესოა, როგორ ზრუნავდა ქართველ მეომრებზე, მათ ჯანმრთელობაზე საქართველოს ხელისუფლება, ჰქონდათ თუ არა ქართველებს სამხედრო მედიცინა და ჰყავდათ თუ არა მათ სამხედრო ექიმები. რაზედაც პასუხი

შეიძლება მედიცინის ისტორიის ცნობილი სპეციალისტის ლადო კოტეტიშვილის სიტყვებით გავცეთ: „გაბმული ლაშქრობისა და დაუსრულებელი ბრძოლისთვის მოწოდებულ ერს, ცხადია, უნდა შეეძუშავენინა დაჭრილი, დაკოდილი და დაავადებული მებრძოლის მოვლა-მკურნალობა“.

საქართველოში სამხედრო-საველე მედიცინის შესახებ, ჯერჯერობით მხოლოდ ძალიან მწირი ცნობებია, მაგრამ მაინც შეიძლება მასზე გარკვეული მასალის შეგროვება. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ქირურგიის განვითარება პირდაპირ კავშირშია სამხედრო მედიცინასთან. საქართველოში კი, როგორც ცნობილია, მედიცინის ეს დარგი ძველთაგანვე საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. აქ წარმატებით კეთდებოდა რთული ქირურგიული ოპერაცია – ტრეპანაცია.* ტრეპანირებული თავის ქალა საქართველოში ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს სამარხშია ნაპოვნი. ტრეპანაციის პრაქტიკა ხევსურეთის ყოფამ XX საუკუნის II ნახევრამდე შემონახა, რაც უთუოდ საქართველოში წარმოებული ხშირი ომებითაც იყო განპირობებული.

პირდაპირი ცნობა საქართველოში სამხედრო ექიმის არსებობის შესახებ, XVIII საუკუნის ერთ-ერთ საბუთში „მორიგის ლაშქრობის განაჩენშია“ დაცული. ეს საბუთი, ლეკიანობისგან შეწუხებულ ერეკლე მეორეს 1774 წელს შეუდგენია. საბუთის მის მიერ მორიგე ლაშქარში მონაწილე გლეხობის ჯარისთვის განკუთვნილი გადასახადისგან გათავისუფლებას ეხება. საბუთის მე-8 მუხლში ვკითხულობთ: „ღმრთით, რომელიც ამ ჯარს ეჭირება, ყველა გაგვირიგებია, რომ იქნება: აქიმი, ჯარა*.“ აქ საველე-სამხედრო ექიმებზეა ლაპარაკი, რომელთაც თან უნდა ხლებოდნენ მორიგე ლაშქარს. იყვნენ თუ არა ასეთი ექიმები უფრო ადრეულ წარსულში? რა თქმა უნდა იყვნენ. რაზეც უპირველეს ყოვლისა, არქეოლოგიური მასალა მიგვანიშნებს. მაგალითად, სამთავროს სამაროვანის განათხარი ძვლოვანი მასალა (ა.წ.V-VIII ს.ს.), რომელიც შეისწავლა პალეოპათოლოგმა პავლე ფირფილაშვილმა, და დაადგინა, რომ რამდენიმე ძვალზე ბასრი იარაღით მიყენებული ჭრილობები „სწორად ჩატარებული მკურნალობის შედეგად კეთილად განკურნებულა“. ასეთი ძვლები სხვაგანაც არის ნაპოვნი. არ არის გამორიცხული, რომ ეს ჭრილობები ბრძოლის ველზე ყოფილიყო მიყენებული და იმდროინდელი „სამხედრო ქირურგის“ მიერ ნამკურნალები.

XII საუკუნეში სამხედრო ქირურგის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფი:

„ერთი მონა დასტაქარი მყვა და წყლულნი შეუხვივნა,
ისრის პირნი ამოუხვნა, დაკოდილნი არ ატკინა...“

აქ ლაპარაკია ნურადინ-ფრიდონის მონა-დასტაქარზე, რომელმაც ტარიელს ჭრილობა გადაუხვია. შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ იგი თავის ბატონს ბრძოლის დროსაც თან ახლდა და სამხედრო ექიმის ფუნქციას ასრულებდა.

სამხედრო მედიცინაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის ქართული სამედიცინო ხელნაწერები, სადაც აღწერილია სხვადასხვა საომარი იარაღით დაჭრილის მკურნალობის მეთოდები. XI საუკუნის ხელნაწერში ვკითხულობთ: „რაჟამს კაცი დაიკოდოს ხლმითა, ისრითა, ანუ შუბითა ანუ სხვითა, გასინჯე, თუ გაკვეთილი ერთი მტკაველი იყოს... ფოლადის ნემსითა უნდა შეუკეროს...“ ან: „და ესეც

იქნების, რომე ისრის პირი მოწამლული იყოს და მისი ნიშანი ეს არის, რომე ის ადგილი აუსივდეს...“ მოწამლულპირიან ისრებს, როგორც ცნობილია ძირითადად, საომარი მოქმედებების დროს იყენებდნენ.

ეს ამონარიდები, ვფიქრობ უთუოდ სამხედრო-საველე მედიცინის არსებობაზე მეტყველებს, რადგან აქ საომარი იარაღით დაჭრაზეა ლაპარაკი.

სამხედრო მედიცინის არსებობაზე მიგვანიშნებს ქართული სამართლის ზოგიერთი ძეგლიც, კერძოდ გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“, რომლის ერთ-ერთი მუხლი ასეთია: „...ერთ ომში ერთს კაცსა ორივე ხელი დაუშავდეს, ანუ ფერხნი, გინა თუალნი წაუხდეს, ექუსთა ასოთაგან ორი ასო დაუშავდეს, სისხლის ნახევარი დაეურვოს მისსა გვარსა ზედა და დასტაქართა წამლის ფასი რაც გასვლოდეს“.

„ძეგლის დადება“, როგორც ცნობილია, მთიელთათვის არის დაწერილი და ამ მუხლში, რა თქმა უნდა, შინა ომზე ან სულაც შებრძოლებაზეა ლაპარაკი, მაგრამ იგი საინტერესოა ხევსურეთში დადასტურებული ერთი ტრადიციის კონტექსტში.

ახალი წლის დღეობების ციკლის ბოლო დღესასწაულზე – წყალკურთხევას (ხანდახან სხვა დღეებშიც) ხდებოდა შებრძოლების იმიტაცია. სოფლის ახალგაზრდობა შეჰყრის ლაშქარს და თავს დაესხმის ჯვარიონთ.* ხევსურეთის მკვიდრი ალექსი ოჩიაური წერს: „სალოცავს, რომ მიუახლოვდებოდნენ ჯვარიონთ დაუძახებდნენ: „აბა თუ ვაჟები ხართ. ეხლა გამავდით კარში“ და დაუწყებენ ათას რამ სახუმარო ძახილს, გამოვლენ ჯვარიონნი და გაუმეორებენ საყვედურს. გამარჯვებული სოფლის ლაშქარი აუტეხს სროლას... აქედან ჯვარიონნიც უპასუხებენ და გაიმართება ბრძოლა. გამოვლენ მინდორზე და ხმლებითაც ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებმებიან. „წაიქცევა“ ხალხი, ექიმებიც ვითომ თან ჰყავთ და უწერენ წამლებს დაჭრილებს: მოაქვთ სოფლიდან არაყი, ჯვარიონთ ლუდი და ამით არჩენენ დაჭრილებს“.

ეს იმიტირებული შეტაკება მრავალმხრივ არის საინტერესო, პირველ რიგში იმიტომ, რომ აქ გარკვეულ სამხედრო თამაშობასთან გვაქვს საქმე. წარმოდგენილია ბრძოლის ველი, სადაც მიმდინარეობს ბრძოლა. მართალია, ბრძოლას სახუმარო ხასიათი აქვს, მაგრამ აქ გარკვეული სახის სამხედრო წვრთასთან გვაქვს საქმე. ამავე დროს, იგი გვიხატავს ბრძოლის ველის სურათს, სადაც განსაკუთრებული ადგილი ექიმებს უკავია, რომლებიც დაჭრილებს უვლიან და პატრონობენ. უნდა ჩავთვალოთ, რომ ეს საველე მედიცინის ტრადიციასზე მეტყველებს.

სამხედრო მედიცინის თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია გადმოცემა გურიაში მოღვაწე შინაური ექიმების არობელიძეების შესახებ, რომელიც აპოლონ წულაძეს აქვს მოტანილი თავის წიგნში „ეთნოგრაფიული გურია“. არობელიძეები მოტეხილობის, დაჭრილის, ნალრძობისა და სხვა ტრავმების მკურნალობაში იყვნენ დახელოვნებულები. მათ გურიის თურმანიძეებს უწოდებდნენ.

არობელიძეები თავისი გვარის წარმოშობას და გურიაში დასახლებას უკავშირებდნენ ისტორიულ თორნიკე ერისთავის ხანას და ამბობდნენ, რომ მათი წინაპარი იყო არობელიძე, რომელიც იმ ჯარის ექიმი-დასტაქარი იყო, რომელსაც თორნიკე სარდლობდა.

არის გადმოცემა, რომ თურმანიძეთა სახელოვანი წინაპრები სამხედრო მედიცინის პრაქტიკასაც ეწეოდნენ. მათი შთამომავალნი ამ საქმიანობას, როგორც ჩანს,

შემდეგშიაც განაგრძობდნენ. ერთ-ერთ მათგანს – ბეჟან ქაიხოსროს ძე თურმანიძეს კი XIX საუკუნეში რუსულ ჯარშიც უმუშავია ექიმად, რაზედაც მის მიერ დაწერილი წერილის შემდეგი ამონარიდი მიგვითითებს: „თქვენ, იმპერატორის აღმატებულებავ, დიდო კნიაზო, მიხეილ ნიკოლოზის ძევ! ჩემი ახალგაზრდობა გავატარე შრომაში და ხელმოკლეობაში, ვიღებდი რა მონაწილეობას ომებში, რათა დამეცვა ჩემთვის ძვირფასი მშობლიური მიწა. აზიელის სახელით ვემსახურებოდი დაჭრილ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს 1854 წლის 24 ივლისის ბრძოლაში სოფელ კიურეკდარასთან, ასეთივე ფუნქცია დაკისრებული მქონდა გორის საცხენოსნო არმიაში“... ზემომოყვანილი თურმანიძეთა საგვარეულოს სამხედრო-სამედიცინო საქმიანობის ტრადიციულობაზე მეტყველებს.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ითქვას: საქართველოში სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონალობაში მცხოვრები და სხვადასხვა სოციალური ფენის საზოგადოება, მამაკაცს სხვადასხვა მოთხოვნილებას უყენებდა, მაგრამ ყველგან და ყოველთვის, ქართველთა ცხოვრების თავისებურებიდან გამომდინარე, მისგან სამხედრო მომზადებას მოითხოვდა. სწორედ ამიტომ, ქართველთა ტრადიციული აღზრდის სისტემა, პირველ რიგში, მამაკაცთა მეომრად ჩამოყალიბებას, მის ფიზიკურ და ინტელექტუალურ განვითარებას ემსახურებოდა.

ძველთაგანვე ქართველთა ზრუნვის საგანს მეომართა ჯანმრთელობაც წარმოადგენდა. ჯანმრთელობის დაცვის ტრადიციულ სისტემაში, სამხედრო მედიცინას გარკვეული ადგილი ეჭირა, რაზედაც მწირი, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანი ცნობები მეტყველებს.

განმარტებითი ლექსიკონი *

არზაქრობა – გაქნილობა, დაუნდობლობა.

აშფაშაქი – ისრის მიზანში სროლა, მიზანში სასროლი საგანი.

ბილდრიგა – ხმლის ვადის, მათრახის ტარის და სხვა ხელის ან თითის გასაყრელი თასმა.

ბუნი – ხანჯლისა და ხმლის ქარქაშის ბოლოზე წამოსაცმელი რკინა – ბუნიკი.

გადრი – ბურთაობის ერთ-ერთი სახეობა.

განმწესებული – ზრდადასრულებული.

გოროზობა – სიამაყე, ამპარტავნობა.

დასდებელი – საეკლესიო საგალობელი.

თალარი – პირამიდის ფორმის ქვიტკირის ბოძი.

კენჭაობა – ფარიკაობა, ჩხუბი.

მოვაგლახარი – მგლოვიარე.

მუშაითი – ჯამბაზი.

მშეებელი – თავისუფალი ადამიანი.

მცირებული – დაბალი წოდების ადამიანი.

მხარე-თალარი – სვეტებიანი კარავი.

ორაკული – მისანი.

ოროლი – ერთგვარი შუბი.

რადაბრაგანი – ბურთაობის ერთ-ერთი სახე.

სარქრობა – სამუშაოთა წარმოება, საქმეზე თავსმდგომობა.

სპასპეტი – ჯარის უფროსი, მხედართმთავარი, სარდალი.

ტრეპანაცია – თავის ქალის ოპერაცია.

ყვანჭი (ყუანჭი) – საბურთალი ჩოგანი.

ყაბახი – სამიზნედ დადგმული თასი, რომელსაც მოჯირითენი ისარს ესროდნენ.

ყაბახობა – სამიზნედ შედგმული თასის ისრით ჩამოგდება.

ძლისპირი – საეკლესიო საგალობელი.

წიდნვა – ვაზის რქის გადაწვენა და მიწაში ჩაფვლა.

წყობა – ბრძოლა.

ხელძალიანი ჯირითობა – თამაშობანი ცხენზე.

ხოშიადი – საიდუმლო.

ჯარა – დასტაქარი, ექიმი.

ჯარი – ხალხის თავყრილობა.

ჯვარიონნი – სალოცავის მომსახურე პირები.

გამოყენებული ლიტერატურა დაწყაროები:

- გ. აკოფაშვილი რაინდობა შუა საუკუნეების თბილისი, 1992.
- არჩილი, საქართველოს ზნეობანი, ძველი მწერლობა, XII-XVII საუკუნეების ქართველი მწერლები. თბილისი, 1976.
- ვ. ბარდაველიძე, ხევსურული თემის მმართველობის სისტემა (სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“ ტ. XIII, №10).
- ბატონიშვილი ვახტანგი, ისტორიები აღწერა, ტფილისი, 1914
- ბატონიშვილი ვახუშტი, ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი, ქართლის ცხოვრება, IV, თბილისი, 1973.
- ნ. ბერძენიშვილი საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ.VII, 1974წ.
- გ. გამყრელიძე, მ. ფირცხალავა, გ. ყიფიანი, ძველი საქართველოს სამხედრო საქმის ისტორიის საკითხები, თბილისი, 2005
- ვ. ელაშვილი, ფიზიკური აღზრდის ქართული ხალხური პედაგოგიკა, თბილისი, 1989
- ლამბერტი არქანჯელო, სამეგრელოს აღწერა, თბილისი
- წიგნი სააქიმო, ტფილისი, 1936.
- ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1941
- ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბილისი, 1984.
- გიორგი მთაწმინდელი, იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება, ქართული პროზა, I, თბილისი, 1982
- ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბილისი, 1962
- ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი (არხოტის თემი), თბილისი, 1988.
- ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ) ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბილისი, 1975, გვ. 119.
- ალ. რობაქიძე, შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, თბილისი, 1941
- ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის საკითხები, თბილისი, 1956
- ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI, თბილისი, 1982
- ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, I, თბილისი, 1955
- ქართლის ცხოვრება, I, თბილისი 1955
- ქართლის ცხოვრება, IV, თბილისი 1973
- ნ. ლოლობერიძე, ხალხური გართობა-თამაშობანი გურიაში, თბილისი, 1980
- გ. ჩიტაია, ხევსურული სპორტი, შრომები 5 ტომად, ტ. IV, თბილისი, 2001
- ს. ჯანაშია, სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, I, ტფილისი, 1937